www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 30 ოქტომბერი, 2013 წელი. | №3396 (203) | ფასი 50

მილოცვები მთელი მსოფლიოდან

საქართველოში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს საერთაშორისო თანამეგობრობა ეხმიანება. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივან ჯენ პსაკის თქმით, აშშ საქართველოს მოქალაქეებს მშვიდობიანად ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს ულოცავს. **„ყველა ქართველის ცხოვრებაში კიდევ ერთი ისტორიული დღის მოწმენი ვართ, რაც საქართველოს დემოკრატიული განვითარებისა და ევროატლანტიკურ ინსტიტუტებთან ქვეყნის დაახლოებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯია,“** - მიუთითებს ჯენ პსაკი.

სახელმწიფო დეპარტამენტი „ნაციონალურ მოძრაობას“ და „ქართულ ოცნებას“ მოუწოდებს, ერთობლივი კონსტრუქციული მუშაობით საქართველოს პოლიტიკური სტაბილურობა განამტკიცონ და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას, ქვეყნის დემოკრატიულ და ეკონომიკურ განვითარებას ხელი შეუწყონ. **იმედით ველით მომავალ თანამშრომლობას საქართველოს არჩეულ პრეზიდენტთან, მთავრობასთან და პარლამენტთან, რათა სტრატეგიული პარტნიორობის საფუძველზე, დავაჩქაროთ საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფება და ხელი შევუწყოთ საქართველოს მოსახლეობის ნათელ მომავალს,“** - აღნიშნავს ჯენ პსაკი.

სახელმწიფო დეპარტამენტი იზიარებს ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის შეფასებას, რომ არჩევნები კარგად ჩატარდა. ამასთან, ვაშინგტონი ადგილობრივ დონეზე პოლიტიკური ზეწოლის გამო დამკვირვებელთა შეშფოთებაზე ამახვილებს ყურადღებას.

საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ ნატო-ს ვებგვერდზე განცხადებას აქვეყნებს ალიანსის გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი. იგი ქართველ ხალხს ულოცავს გამჭვირვალე და მშვიდობიანი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას, რომლის დროსაც გამოხატვის, გადაადგილებისა და შეკრების თავისუფლების ფუნდამენტური უფლებები დაცული იყო.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

უწყებათშორისმა კომისიამ ბოლო სხდომა გამართა

საარჩევნო საკითხებზე შექმნილმა უწყებათშორისმა კომისიამ, რომელიც იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში საქმიანობს, გუშინ თბილისის იუსტიციის სახლში ბოლო სხდომა გამართა. სხდომას კომისიის ხელმძღვანელის, იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის ნაცვლად, მინისტრის მოადგილე გოჩა ლორთქიფანიძე უძღვებოდა. „კომისიამ ბოლო სხდომა გამართა, მაგრამ საქმიანობას არ წყვეტს. ანგარიში მომზადდება, რომელიც კომისიის წევრებთან შეჯერების შემდეგ ვებგვერდზე გამოქვეყნდება,“ - თქვა ლორთქიფანიძემ სხდომის დასრულების შემდეგ.

იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ჟურნალისტებთან საუბარში 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები შეაფასა. „დადასტურდა, რომ საქართველო საარჩევნო დემოკრატიიდან ინსტიტუციური დემოკრატიისკენ მიდის,“ - აღნიშნავს ლორთქიფანიძე. მისი თქმით, ამ პროცესში, რა თქმა უნდა, წვლილი შეიტანა ცესკო-მ და აგრეთვე უწყებათშორისო კომისამ, რომელიც წინასაარჩენო ხარვეზების შესახებ შენიშვნებს განიხილავდა. როგორც ლორთქიფანიძე ამბობს, კომისიის საქმიანობა მთლიანობაში იმ თანასწორუფლებიან საარჩევნო გარემოს ემსახურებოდა, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბდა. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ კომისია სისტემურად, თანმიმდევრულად მუშაობდა, მას არც ერთი შესული საჩივარი და გზავნილი რეაგირების გარეშე არ დაუტოვებია.

კომისიის საქმიანობას დადებითად აფასებენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე კახა კოჟორიძე ამბობს, რომ საია-ს საჩივრები საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებში აქვს წარდგენილი და მათი ნაწილი დაკმაყოფილდა, ხოლო უწყებათშორისი კომისიისთვის ორგანიზაციას ამ ეტაპზე განცხადებით არ მიუმართავს.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორუმის მისიის შეფასება

„აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის“ სადამკვირვებლო მისიამ გუშინ საარჩევნო მედიაცენტრში საპრეზიდენტო არჩევნების მონიტორინგის პრეზენტაცია გამართა.

სადამკვირვებლო მისიის შეფასებით, 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები თავისუფალი, გამჭვირვალე და დემოკრატიული იყო და იგი ქართველი ამომრჩევლის ნებას ასახავდა.

პოლონელი იურისტის გრეგორ ლევოცკის განცხადებით, გასული წლის საპარლამენტო არჩვნებთან შედარებით, წელს ამომრჩევლის აქტივობა დაბალი იყო, საარჩევნო უბნებთან გრძელი რიგები არ შეიმჩნეოდა. ასევე უბნებზე არ ჩანდნენ პოლიციის თანამშრომლები, სამართალდამცავები და უშიშროების წარმომადგენლები. ლევოცკის თქმით, უმეტეს უბნებში კენჭისყრა გამჭვირვალედ მიმდინარეობდა და, საერთაშორისო შთაბეჭდილებით, ატმოსფერო დადებითი იყო.

გრეგორ ლევოცკიმ არჩევნებზე დაფიქსირებულ შეუსაბამობებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ არჩევნების დღეს პარტიის წარმომადგენლები ამომრჩევლებს კონვერტებს თავად აწოდებდნენ. ამასთან, ჯგუფის წევრებმა ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე აღმოაჩინეს, რომ ოთხი ამომრჩეველი, რომელთაც მარკირება ჰქონდათ, კვლავ დაუშვეს არჩევნებზე ხმის მისაცემად.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

ჩრდილოეთ ევროპას „წმინდა იუდამ“ გადაუარა

ია შილაკაძე

ამსტერდამი შტორმის შემდეგ

გრიგალი «წმინდა იუდა“ 28 ოქტომბერს დაატყდა თავს დიდი ბრიტანეთის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროს. მან გადაუარა ნისლიანი ალბიონის სამხრეთ ნაწილს, დაიძრა კონტინენტური ევროპისკენ და თავს დაატყდა ნიდერლანდებს, ბელგიას, საფრანგეთს, დანიას, შვედეთს, გერმანიას, ბალტიის ქვეყნებს ფინეთის ჩათვლით და გუშინ უკვე რუსეთამდეც, კერძოდ სანკტ-პეტერბურგამდეც მიაღწია.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ხელბურთელები მსოფლიო საკვალიფიკაციო ტურნირს ლიტვით იწყებენ

ორი დღის წინათ სერბი მწვრთნელის, ჯორჯე რასიჩის საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებს უკრაინასთან მეორე საწვრთნელი მატჩი კონჩა-ზასპეს ბაზაზე წარმოქმნილი ტექნიკური პრობლემების გამო ჩაეშალა. ამავე ქვეყნის ნაკრებთან პირველ ამხანაგურ შეხვედრაში კი საქართველო 20:26 დამარცხდა.

გუშინ დილით ქართველი ხელბურთელები ლიტვაში გაემგზავრნენ, დღეს კი, მსოფლიო ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო მატჩში, პანევეჟისში, მასპინძლებთან უწევთ გაჯიბრება.

საქართველოს ნაკრები სრული შემადგენლობითაა - სულ ბოლოს გუნდს შეუერთდა მაკედონიის „სტრუმიცას“ მოთამაშე რევაზ ჭანტურია, რომელმაც ნაკრებთან ერთად უკვე ივარჯიშა.

მომავალი მატჩი პანევეჟისში 20:45 საათზე დაიწყება, რეპორტაჟს კი ლიტვის საზოგადოებრივი მაუწყებელი გეგმავს.

თამაშის შემდეგ ხელბურთელთა ნაკრები საქართველოში დაბრუნდება, სადაც 3 ნოემბერს სპორტის სასახლეში ფინეთის ნაკრებს უმასპინძლებს. ამის შემდეგ ტურნირზე შესვენებაა - ბოლო ოთხი ტური იანვარში გაიმართება.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

მარკუს მილერის როკვა

თბილისის ჯაზფესტივალი ავიშაი კოენის ბენდის კონცერტით გაგრძელდა

ია ვეკუა



როგორც ლიტერატურულ ნაწარმოებს საინტერესო დასაწყისი, როგორც ფილმს დამაინტრიგებელი გამხსნელი სცენები, ისე მუსიკალურ ფესტივალსაც სჭირდება განსაკუთრებული პირველი კონცერტი, რომელიც მსმენელს სიამოვნების მიხიჭებასთან ერთად მომდევნო საკონცერტო დღეებისთვისაც განაწყობს. წლევანდელ თბილისის ჯაზფესტივალზე სწორედ ასე მოხდა - ფესტივალი მარკუს მილერის ბენდმა გახსნა პროექტით Renaissance, რომელიც ამავე სახელწოდების ალბომის მხარდასაჭერ ტურს მოიცავს.

მარკუს მილერი ქართულ სცენაზე მესამედ გამოვიდა. პირველად 2008 წლის შავი ზღვის ჯაზფესტივალზე ჩამოვიდა და ფანტასტიკური ალბომი Free წარმოგვიდგინა, ერთი წლის შემდეგ კი თბილისში მაილს დევისის მუსიკა ჩამოგვიტანა (Tutu Revisited music of Miles Davis).

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

მთავრობა გუბერნატორების კანდიდატებზე ხვალინდელ სხდომაზე იმსჯელებს

მთავრობის კანცელარიაში ხვალ მთავრობის სხდომა გაიმართება. მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, დღის წესრიგში 40 საკითხია შეტანილი.

ერთ-ერთი საკითხი, რომელზეც მინისტრთა კაბინეტი ხვალ იმსჯელებს, სავარაუდოდ, გუბერნატორების დანიშვნას შეეხება. შესაბამისი განცხადება პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა 28 ოქტომბრის პრესკონფერენციაზე გააკეთა.

მინისტრები, სავარაუდოდ, არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციის სამზადისსაც განიხილავენ. მთავრობის ინფორმაციით, ცერემონიის მომზადებაზე სპეციალური კომისია იმუშავებს.

ბაჩო ახალაიას საქმის პროკურორი სასამართლომ 500 ლარით დააჯარიმა

ბაჩო ახალაიას საქმეზე მბრალდებელი პროკურორი სასამართლომ 500 ლარით დააჯარიმა. აღნიშნულის შესახებ, „ინტერპრესნიუსს" თბილისის საქალაქო სასამართლოდან აცნობეს.

საქმე ეხება 26 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მომხდარ ინციდენტს. დაჯარიმებულია ინციდენტში მონაწილე ახალაიას მხარდამჭერიც.

„სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა ბრალდებულ ბაჩანა ახალაიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ.

სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ სასამართლოს ფოიეში აღნიშნული სს საქმის პროკურორ ლევან ბაჩიაშვილსა და მოქალაქე იაკობ ჩქვანავას შორის ურთიერთშელაპარაკება მოხდა, რაც სიტყვიერ შეურაცხყოფაში გადაიზარდა. მხარეებმა დაარღვიეს წესრიგი და სასამართლოსადმი გამოხატეს აშკარა და უხეში უპატივცემულობა. მითითებული გარემოებები დადასტურებულია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით. იაკობ ჩქვანავასა და ლევან ბაჩიაშვილის კანონსაწინააღმდეგო ქმედება აღკვეთილ იქნა მანდატურის სამსახურის თანამშრომლების მიერ. სასამართლოში წესრიგის დარღვევისთვის თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მანდატურის სამსახურის თანამშრომელთა მოხსენებითი ბარათები და თანდართული მასალები და სასამართლოს ტერიტორიაზე მყოფ პროკურორ ლევან ბაჩიაშვილსა და მოქალაქე იაკობ ჩქვანავას დააკისრა ჯარიმა, თითოეულს 500-500 ლარის ოდენობით. თავმჯდომარის განკარგულება არ საჩივრდება და აღსრულებისთვის გადაეგზავნა შესაბამის სააღსრულებო ბიუროს," - ნათქვამია სასამართლოს განცხადებაში.

პაატა ზაქარეიშვილი - გუბერნატორებმა გადადგომის პოლიტიკური სპექტაკლი გაითამაშეს

გუბერნატორებმა გადადგომის პოლიტიკური სპექტაკლი გაითამაშეს, მათ თანამდებობის დატოვება მაინც მოუწევდათ, - ამის შესახებ რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა ჟურნალისტებთან განაცხადა.

მისი თქმით, გუბერნატორებმა თანამდებობები უნდა დატოვონ, რადგან ძველი კონსტიტუციით ისინი ანგარიშვალდებულნი იყვნენ პრეზიდენტის წინაშე, ახალი კონსტიტუციით კი გუბერნატორებს მთავრობა დანიშნავს.

„მათ რომ არ დაეწერათ განცხადება, ამის გაკეთება მაინც მოუწევდათ. უბრალოდ, პოლიტიკური სპექტაკლი გაითამაშეს, თითქოს პოლიტიკურ ურთიერთობებს აქვს ადგილი. ეს არის კონსტიტუციური ვალდებულება, რაც არ უნდა მისაღები ყოფილიყო მათთვის მთავრობა, მათ მაინც მოუწევდათ განცხადების დაწერა," - განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

სხვადასხვა რეგიონებში გუბერნატორებმა მოქმედ პრეზიდენტს გადადგომის განცხადებით უკვე მიმართეს. ახალ გუბერნატორებს ახალი მთავრობა დანიშნავს.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორუმის მისიის შეფასება

პირველი გვერდიდან

გარდა ამისა, ანგარიშის თანახმად, წინასაარჩევნო კამპანია წარმოებდა საარჩევნო უბანთან ზედმეტად ახლოს, რაც კოდექსით აკრძალულია. ასევე კომისიის წევრებმა კანდიდატთა წარმომადგენლების მანქანები გამოიყენეს იმ ამომჩევლებთან სახლში მისასვლელად, რომლებიც ხმას გადასატანი ყუთების საშუალებით აძლევდნენ.

ამასთან, სადამკვირებლო მისიის განცხადებით, ორ საარჩევნო უბანზე მათ დამკვირვებლებს კომისიის წევრებმა ნება არ მისცეს, ენახათ, თუ სად ინახავდნენ ბიულეტენებს და სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებს.

თუმცა, შეუსაბამობებისა და მცირე დარღვევების მიუხედავად, სადამკვირვებლო მისიის შეფასებით, 27 ოქტომბერს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები დემოკრატიისკენ ქვეყნის წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.

სადამკვირვებლო მისიამ გარკვეული რეკომენდაციებიც გასცა და აღნიშნა, რომ კარგი იქნება სამომავლოდ საინფორმაციო ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენება, კერძოდ, ყველა უბნის ერთ ელექტრონულ სისტემაში გაერთიანება, რათა არჩევნებზე ერთხელ მისულმა ადამიანმა ხმის მიცემა მეორედ ვეღარ მოახერხოს.

ამასთან, მისია მიიჩნევს, რომ სასურველია საუბნო კომისიების წევრთა დატრენინგება და საარჩევნო უბნების პანდუსებით სათანადო აღჭურვა.

ცნობისათვის - საპრეზიდენტო არჩევნებში საერთაშორისო მისიის წარმომადგენლები, მობილური ჯგუფების მეშვეობით, თბილისში, რუსთავსა და მცხეთაში 41 საარჩევნო უბანს აკვირდებოდნენ. სადამკვირვებლო მისია შვიდი წევრისგან შედგებოდა, რომელთაგან ორი - ევროკავშირის, ხოლო ხუთი აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ქვეყანას წარმოადგენდა.

მიხეილ სააკაშვილი ჟოზე მანუელ ბაროზუს ხვდება

საქართველოს პრეზიდენტი, თბილისის მერთან ერთად, ვიზიტით ბრიუსელში გაემგზავრა.

მიხეილ სააკაშვილი აეროპორტში 28 ოქტომბერს მას შემდეგ მივიდა, რაც ტელევიზიით საქართველოს მოსახლეობას მიმართა.

მიხეილ სააკაშვილი და გიგი უგულავა ბრიუსელში ევროკავშირის ხელმძღვანელ პირებს, მათ შორის ევროკომისიის თავმჯდომარე ჟოზე მანუელ ბაროზუს შეხვდებიან.

პრეზიდენტის განცხადებით, ეს მნიშვნელოვანი ვიზიტია ვილნიუსში დაგეგმილი „აღმოსავლეთ პარტნიორობის" მესამე სამიტის წინ და მისთვის ერთგვარ სიმბოლურ აქტს წარმოადგენს. ამასთან, გამგზავრების წინ ქვეყნის პირველმა პირმა არჩევნების შედეგები კიდევ ერთხელ შეაფასა.

„მივემგზავრები ბრიუსელში, სადაც ვილნიუსის სამიტის წინ შევხდები ევროკავშირის ხელმძღვანელობას. ეს ჩემი საპრეზიდენტო ვადის დასამთავრებლად ბოლო და ძალიან მნიშვნელოვან სიმბოლურ აქტად მიმაჩნია. მინდა, კიდევ ერთხელ ვთქვა ბოლო ორი არჩევნების შესახებ. მტკივნეული იქნებოდა, ჩვენ არასწორი გზით წავსულიყავით და მაინც წაგვეგო არჩევნები, მაგრამ როდესაც აგებ არჩევნებს მას შემდეგ, რაც სწორი რაღაცები გააკეთე, მაინც არის დიდი კმაყოფილების გრძნობა," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა ბრიუსელში გამგზავრებამდე.

მისივე თქმით, სწორი საქციელის შემდეგ არჩევნების წაგება მომდევნო გამარჯვების საწინდარია.

„როდესაც არჩევნებს აგებ მას შემდეგ, რაც სწორი რაღაცები აკეთე, არის შემდგომი გამარჯვებების საწინდარი. ამას ვეუბნები ყველას, ვინც შექმნილი სიტუაციის გამო ნერვიულობს. არ გაიტეხოთ გული და არ ჩამოუშვათ ხელები, ყველაფერი იქნება ძალიან კარგად, ოღონდ საჭიროა ხელის განძრევა," - აღნიშნა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილის ევროპაში ვიზიტს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოეხმაურა.

მინისტრის პირველი მოადგილის დავით ზალკალიანის განცხადებით, საგარეო უწყება პრეზიდენტის ვიზიტის მომზადებაში არ მონაწილეობდა და სამინისტროს მიხეილ სააკაშვილის ბრიუსელში შეხვედრების შესახებ ინფორმაცია არ აქვს.

„ჩვენ ამ ვიზიტის შესახებ ინფორმაცია მივიღეთ ბრიუსელში ჩვენი საელჩოსგან, რის შემდეგაც დავუკავშირდით პრეზიდენტის ადმინისტრაციას. ჩვენთვის ამ ვიზიტის შესახებ ცნობილი იყო, თუმცა პრეზიდენტის შეხვედრების შესახებ ინფორმიებულები არ ვართ, რადგან საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ ვიზიტის მომზადებაში უშუალოდ არ მონაწილეობდა," - აღნიშნა დავით ზალკალიანმა.

ამასთან, მინისტრის პირველმა მოადგილემ ვილნიუსის სამიტის შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ვილნიუსის სამიტისთვის საქართველოს დელეგაციის შემადგენლობა ჯერ დაზუსტებული არ არის. თუმცა, ზალკალიანის განმარტებით, დელეგაციაში, რომელსაც ვილნიუსის სამიტზე საქართველოს პრეზიდენტი უხელმძღვანელებს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე იქნება.

„დელეგაციის დანარჩენი წევრების შესახებ უახლოეს მომავალში ჩამოვყალიბდებით და ეს საზოგადოებისთვისაც გახდება ცნობილი," - აღნიშნა დავით ზალკალიანმა.

ვილნიუსის სამიტისთვის საქართველოს დელეგაციის შესახებ კომენტარი გააკეთა საგარეო საქმეთა მინისტრმაც და აღნიშნა, რომ ვილნიუსის სამიტის დელეგაციაში წინა ხელისუფლების წარმომადგენლები არ იქნებიან.

„ჩვენ იმის ფუფუნების უფლება არ გვაქვს, რომ ხელისუფლებაში არმყოფი ხალხი წავიყვანოთ ვილნიუსში, იმდენად შეზღუდულია რაოდენობა," - განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

თუმცა, საქართველოს მთავარმა დიპლომატმა განმარტა, რომ ყველას აქვს უფლება, **„იმ პერიოდში ვილნიუსს ტურისტული ან სხვა მიზნით ეწვიოს და ვილნიუსის სამიტის სურნელი შეიგრძნოს."**

როგორც ფანჯიკიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ვილნიუსიდან საქართველოს სახელზე მიღებული მოწვევა გულისხმობდა დელეგაციის შემადგენლობას ერთი, პლუს ორი, პლუს ხუთი.

„ერთი არის სახელმწიფოს მეთაური ანუ დელეგაციის ხელმძღვანელი, ვინც წარადგენს ქვეყანას. უკვე ცნობილია, რომ ეს არის გიორგი მარგველაშვილი. ორი - ეს არის ორი მინისტრი და ხუთი არის დელეგაციის შემადგენლობა. იქ სწორედ მკაცრი შეზღუდვით მოხდება დელეგაციების მიღება. ერთი პლუს ორი ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს მეთაურს შეუძლია, თან ჰყავდეს ორი მინისტრი, რომლებიც იქნებიან ყველა მაღალი დონის ფორმატში, ხოლო ხუთი შეძლებს, მოვლენებს თვალყური ადევნოს სპეციალურად შექმნილი დარბაზიდან, სადაც იქნება იმის ტრანსლაცია, თუ რა მოხდება ცენტრალურ დარბაზში. ასეთი მკაცრი შეზღუდვაა. რასაკვირველია, ყველას აქვს უფლება, იმ პერიოდში ვილნიუსს ტურისტული ან სხვა მიზნით ეწვიოს და ვილნიუსის სამიტის სურნელი შეიგრძნოს," - განაცხადა საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

მინისტრის თქმით, მას გიორგი მარგველაშვილთან დელეგაციის შემადგენლობის საკითხზე კონსულტაციები 30 ოქტომბერს ექნება.

„მართალია, ჯერ ინაუგურაცია არ ყოფილა, მაგრამ ვილნიუსიდან უკვე გვთხოვენ კონკრეტულ მონაცემებს დელეგაციის წევრების შესახებ. ალბათ, ზეგ ჩვენ უკვე ვიტყვით, ვინ იქნება დელეგაციის შემადგენლობაში. ხუთი ძალიან ცოტაა, რადგან ასოცირების ხელშეკრულებაზე ძალიან ბევრმა ხალხმა იმუშავა. სამწუხაროა, რომ ვილნიუსში ყოფნას და სიხარულის გაზიარებას ყველა ვერ მოახერხებს," - აღნიშნა საგარაო საქმეთა მინისტრმა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "შვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ქალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

მილოცვები მთელი მსოფლიოდან

რასმუსენის შეფასებით, ამ არჩევნებით საქართველომ დემოკრატიის კიდევ ერთი ტესტი ჩაბარადა და ევროატლანტიკური სტანდარტებისკენ კონკრეტული ნაბიჯი გადადგა.

ანდერს ფოგ რასმუსენი ყველა პოლიტიკურ ძალას მოუწოდებს, საქართველოს რეფორმების ამბიციური დღის წესრიგის შესასრულებლად მუშაობა ერთად გააგრძელონ. მან გიორგი მარგველაშვილს არჩევნებში გამარჯვება მიულოცა და ახლად არჩეულ პრეზიდენტს წარმატება უსურვა. **„მოუთმენლად ველი გიორგი მარგველაშვილთან თანამშრომლობას. საქართველო ნატო-ს ახლო და სანდო პარტნიორია. ჩვენ ახალ პრეზიდენტთან და მის გუნდთან გავაგრძელებთ მუშაობას იმისთვის, რომ საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის ამოცანების შესრულებაში დავეხმაროთ და ნატო-საქართველოს ურთიერთობა კიდევ უფრო გავაძლიეროთ,“** - აღნიშნავს რასმუსენი.

გენერალური მდივნის განცხადებას წინ უსწრებდა კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში მისი სპეციალური წარმომადგენლის ჯეიმს აპატურაის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული მილოცვა. **„გილოცავთ საქართველო! საერთო შეფასებით, ეუთო-ს ჩათვლით, თქვენ სამართლიანი, ნამდვილი დემოკრატიის ღირსი, კარგად ორგანიზებული არჩევნები ჩაატარეთ. ყოჩაღ!“** - ნათქვამია ჯეიმს აპატურაის პოსტში.

ევროკომისარმა გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულემ და საგარეო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ქეთრინ ეშტონმა გიორგი მარგველაშვილს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება ერთობლივი განცხადებით მიულოცეს.

„ვულოცავთ ახლად არჩეულ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს კვირას ჩატარებულ არჩევნებში გამარჯვებას. ვულოცავთ, აგრეთვე ქართველ ხალხს, მათი ქვეყნის ძლიერი დემოკრატიული ხარისხის დემონსტრირებას. მივესალმებით ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) და სხვა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის წინარწარ ანგარიშს,“ - ნათქვამია მისალოცგანცხადებაში.

შტეფან ფულე და ქეთრინ ეშტონი გიორგი მარგველაშვილს მოუწოდებენ, ითანამშრომლოს პრემიერ-მინისტრთან, მთავრობასთან, პარლამენტთან, მათ შორის ოპოზიციის ჩათვლით, სამოქალაქო საზოგადოებასთან, საქართველოს ამბიციური პროგრამის - რეფორმებისა და ინსტიტუტების განვითარებისთვის. ისინი „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტის წინ, რომელიც, მათი შეფასებით, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება, საქართველოსთან პოლიტიკური ასოციაციისა და ეკონომიკური ინტეგრაციის კუთხით მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელებას მოელიან.

მარგველაშვილს გამარჯვებას ულოცავს ევროკომისიის პრეზიდენტი ჟოსე მანუელ ბაროზუ. **„ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ აჩვენა დემოკრატიული პროცესებისადმი თავისი ერთგულება და გამოხატა საკუთარი რწმენა თქვენი, როგორც სახელმწიფოს მეთაურის მიმართ. ევროკავშირის სახელით მსურს, გისურვოთ ყოველგვარი წარმატება ამ მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობის შესასრულებლად.**

ევროკავშირს დიდი იმედი აქვს, რომ თქვენ შექმნით საკუთარ ხელწერას საქართველოს თანამედროვე პოლიტიკური ისტორიის ამ მნიშვნელოვან ეტაპზე. ახალი კონსტიტუციით, რომელიც თქვენი ოფიციალური დანიშვნისთანავე შევა ძალაში, თქვენი ქვეყნის დემოკრატიულ ინსტიტუტებს დაევალებათ, საკუთარ ქვეყანას ახალ გამოწვევებთან შესახვედრად გაუძღვნენ. თქვენი, როგორც ქვეყნის ხელმძღვანელის მაგალითი წარუძღვება მათ თავიანთი საქმიანობისას,“ - ნათქვამია მისალოცშეტყობინებაში.

ბაროზუ აღნიშნავს, რომ პრეზიდენტად მარგველაშვილის არჩევა ევროკავშირსა და საქართველოს ურთიერთობებში მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს დაემთხვა. **„ევროპის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე ვილნიუსში, 29 ნოემბერს, ჩვენ საფუძველს ჩავუყრით ასოცირების ხელშეკრულებას, მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სფეროში, რაც პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულებით მნიშვნელოვნად წაგვწევს წინ,“** - მიიჩნევს ევროკომისიის პრეზიდენტი და იმედს გამოთქვამს, რომ მარგველაშვილთან პირადად შეხვედრის საშუალება მალე მიეცემა.

საქართველოს არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას ულოცავს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი გვიდო ვეტსერველე. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ვესტერველემ ქართველ კოლეგა მაია ფანჯიკიძეს საქართველოს ახალი პრეზიდენტის არჩევა და ქვეყანაში არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება სატელეფონო საუბარში მიულოცა.

გიორგი მარგველაშვილს გამარჯვებას ულოცავს ესტონეთის პრეზიდენტი თომას ჰენდრიკ ილვესი. **„გულწრფელად მინდა, მოგილოცოთ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება. მინდა, გამოვიყენო შესაძლებლობა და კვლავ გავიმეორო, რომ ესტონეთისთვის საქართველო რჩება მნიშვნელოვან ქვეყანად, რომელსაც შეიძლება, დაეყრდნო,“** - მიუთითებს ესტონეთის პრეზიდენტი მისალოცწერილში. როგორც ილვესი აცხადებს, ესტონეთი მხარს უჭერს დემოკრატიულ, რეფორმატორულ და ევროპაზე ორიენტირებულ საქართველოს.

მარგველაშვილის გამარჯვებას ეხმიანებიან საქართველოს მეზობელი ქვეყნები. **„გულითადად გილოცავთ პრეზიდენტის პოსტზე არჩევას. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული კეთილმეზობლური ურთიერთობა და მეგობრობა, ასევე ყოველმხრივი თანამშრომლობა კმაყოფილებას იწვევს. დარწმუნებული ვარ, ეს ტრადიციული ურთიერთობა, მეგობრობა და კეთილმეზობლობა, ასევე, სტრატეგიული პარტნიორობა, მრავალმხრივი თანამშრომლობა მომავალშიც ყოველმხრივ განვითარდება და გამყარდება ჩვენი ხალხისა და ქვეყნების კეთილდღეობისა და რეგიონში მშვიდობის, სტაბილურობისა და პროგრესისთვის,“** - ნათქვამია აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევის მისალოც წერილში. მან მარგველაშვილს ჯანმრთელობა და სახელმწიფოებრივ საქმიანობაში წარმატებებ უსურვა.

საპრეზიდენტო არჩევნებში გიორგი მარგველაშვილს გამარჯვება მიულოცეს თურქეთის პრეზიდენტმა აბდულა გიულიმ და პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა. **„პირადად ჩემი და თურქი ხალხის სახელით, თქვენს აღმატებულებას პირადად ვულოცავ საქართველოში ჩატარებული არჩევნების შემდეგ პრეზიდენტის არჩევას. ასევე მოხარული ვარ, რომ წარმატებით დასრულდა არჩევნები, რომელიც მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს საქართველოს დემოკრატიის პროცესში. მტკიცედ მწამს, რომ ურთიერთპატივისცემისა და საერთო ინტერესების საფუძველზე, თქვენი პრეზიდენტობის პერიოდშიც გაგრძელდება თურქეთსა და საქართველოს შორის არსებული ახლომეზობლური ურთიერთობები და ძლიერი თანამშრომლობა,“** - ნათქვამია აბდულა გიულის მისალოც წერილში.

თურქეთის პრემიერი კი აღნიშნავს, რომ ეს არჩევნები საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესში მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს, რომელიც მშვიდ, უსაფრთხო გარემოში ჩატარდა და რომელზეც ქართველი ხალხის ნება გამოიხატა.

ერთ-ერთმა პირველმა მისალოცი წერილი გიორგი მარგველაშვილს სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა გაუგზავნა.

საქართველოში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები აშშ-ს ატლანტიკური საბჭოში შეაფასეს. საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი დეიმონ უილსონის განცხადებით, საქართველომ მსოფლიოს აჩვენა, რომ ის ნორმალური დემოკრატიული ქვეყანა ხდება. **„არჩევნების შედეგები სარწმუნოა. ეს პოლიტიკური სისტემის ტესტი და მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის დემონსტრირებაა. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ახალი მოთამაშეები ჩნდებიან და ქვეყანას მსოფლიოს წინაშე თავის წარმოსაჩენად ახალი შესაძლებლობა ეძლევა,“** - დასძენს უილსონი.

დეიმონ უილსონი პრეზიდენტ სააკაშვილის ბედითაც ინტერესდება. მისი შეფასებით, ის, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი პოსტიდან საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ მიდის, ეს საქართველოსთვის დიდი მიღწევაა, რადგან ეს ნიშნავს, რომ მისი პოლიტიკური ინსტიტუტები სანდოა. უილსონის მტკიცებით, უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება თუკი ქვეყნის ლიდერის საქმე პრეზიდენტობიდან წასვლის შემდეგ გამოძიებამდე ან პატიმრობამდე მივა. „საქართველომ მომავლის შესახებ უნდა იფიქროს და არა შურისძიებაზე,“ - აღნიშნა მან.

საკუთარი ინფორმაცია

გიორგი მარგველაშვილის პრესსამსახურმა პრეზიდენტის ადმინისტრაციის მომავალი უფროსის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა

გიორგი მარგველაშვილის პრესსამსახურმა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მომავალი უფროსის ლაშა აბაშიძის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა. ბიოგრაფიული მონაცემების თანახმად, 2010-2012 წლებში ლაშა აბაშიძე ლონდონის საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტში მუშაობდა. ფინანსური ინსტიტუტის პროფილი საკრედიტო და საინვესტიციო მომსახურების გაწევაა. ლაშა აბაშიძე იყო ბიზნესის განვითარების უფროსი/აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე და ზედამხედველობას უწევდა კომპანიის ძირითად საფინანსო-საოპერაციო საქმიანობას; ზედამხედველობდა კომპანიის სტრუქტურულ ერთეულებს, იურიდიულ, საკადრო, რისკებისა და ფინანსურ დეპარტამენტებს, ბიუჯეტირებას და უზრუნველყოფდა(ანგარიშების შესრულებას, ახორციელებდა (მისი პარამეტრების შესრულებას.

2007-2010 წლებში ლაშა აბაშიძე იყო „საქართველოს რკინიგზის“ ოპერაციათა მართვის და შესყიდვების სააგენტოს უფროსი.

რაც შეეხება განათლებას, ბიოგრაფიული მონაცემების თანახმად, 2004-2005 წლებში ლაშა აბაშიძე სწავლობდა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (GIPA) და მიიღო სახელმწიფო მმართველობის მაგისტრის ხარისხი; 2004 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო სამართლის იურისტის სპეციალობით, ხოლო 2011 წელს დიდ ბრიტანეთში გაიარა ფინანსური მართვისა და აღრიცხვის სპეციალიზებული პროგრამა.

იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი, კოალიცია «ქართული ოცნების» პრეზიდენტობის კანდიდატ გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო ფონდის მმართველი, მარგველაშვილის წარმომადგენელი ცესკო-ში.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის მომავალი უფროსი ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებს ფლობს.

გამყოფ ხაზთან მცხოვრებ მოსახლეობას 200-ლარიანი დახმარება დაურიგდება

გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობას სათბობით უზრუნველყოფის მიზნით 200-ლარიანი დახმარება დაურიგდება. ეს გადაწყვეტილება გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის სხდომაზე მიიღეს. როგორც სხდომის დამთავრების შემდეგ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ჟურნალისტებს აცნობა, სათბობით უზრუნველყოფა 9 500 ოჯახს სჭირდება.

„მთავარი გადაწყვეტილება, რაც სხდომაზე მივიღეთ, ის არის, რომ გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა მიიღებს 200-ლარიან დახმარებას, კონკრეტულად სათბობით უზრუნველყოფისთვის. მათ შეეძლებათ, ეს თანხა, როგორც შეშის შესაძენად, ასევე ელექტროენერგიის გადასახადის დასაფარად გამოიყენონ. კონკრეტული მექანიზმები, ეს როგორი ფორმით შეიძლება გაკეთდეს და მოწესრიგდეს, ფინანსთა სამინისტროს მიერ დღის ბოლომდე იქნება შემოთავაზებული. ასევე დავამტკიცეთ გაზიფიცერების გრაფიკი და გამოცხადდება ტენდერი,“ - განაცხადა დავით ნარმანიამ.

მისივე თქმით, უკვე დაიგეგმა, რომ 11 ნოემბერს დონორთა საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართება და კომისია დონორებს ინფორმაციას მიაწვდის იმ საჭიროებათა ნუსხის შესახებ, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ვერ დაფინანსდება.

„ეს არის, ძირითადად, ინდივიდუალური საჭიროებები, მათ შორის გამოვყოფდი რამდენიმე ოჯახს, რომელთაც არ აქვთ საცხოვრებელი სახლი. ჩვენ მივაწვდით დონორებს დაზიანებული სახლების და სახურავების ნუსხას, ეს იქნება გადაუდებელი საკითხები, რაშიც დონორთა დახმარება გვჭირდება. ასევე, გვყავს რამდენიმე ოჯახი, რომლებიც კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები იყვნენ და ამის გამო ვერ მიიღეს სახლები და კომპენსაცია,“ - განაცხადა დავით ნარმანიამ.

უწყებათშორისმა კომისიამ ბოლო სხდომა გამართა

პირველი გვერდიდან

კომისიისთვის ამჯერად არც „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ წარუდგენია შენიშვნები. როგორც ორგანიზაციის წარმომადგენელი ლევან ნატროშვილი ამბობს, ამის მიზეზი ის არის, რომ არჩევნების დღეს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტები არ გამოვლენილა.

ნატროშვილმა უწყებათშორისი კომისიის საქმიანობა დადებითად შეაფასა. მისი თქმით, კომისიამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქმეს თავი კარგად გაართვა, ბევრი რეკომენდაცია და განმატება გამოაქყვენა, რამაც წინასაარჩევნო გარემოზე დადებითად იმოქმედა.

უწყებათშორისი კომისიის მუშაობით, ასევე კმაყოფილია კახა კოჟორიძე, თუმცა კრიტიკული შენიშვნა აქვს, რომელიც კომისიაში „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის ირგვლივ არაკონსტრუქციული გარემოს შექმნას ეხება. როგორც კოჟორიძე ამბობს, კომისიის თავმჯდომარის მხრიდან ასეთი დამოკიდებულება სასურველი არ არის და ეს კომისიის მიმართ ნდობის გაზრდას ხელს არ უწყობს.

მიუხედავად ამისა, კოჟორიძის შეფასებით, კომისიის მიერ მომზადებულმა რეკომენდაციებმა წინასაარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე დადებითად იმუშავა.

სხდომაზე ლევან ნატროშვილის მიერ წარდგენილი რეკომენდაციები საარჩევნო პროცესის გაუმჯობესებას ეხებოდა, რაც, ძირითადად, პროცედურულ საკითხებს მოიცავს.

საია-მ სხდომაზე პროკურატურასა და სამართალდამცავ უწყებებს სხვის ნაცვლად ხმის მიცემის შემთხვევებით დაინტერესება სთხოვა. როგორც კახა კოჟორიძე ამბობს,

მართალია, არჩევნებზე ასეთი სულ 3-4 შემთხვევა გამოვლინდა, მაგრამ იმისთვის, რომ მომავალში არჩევნები უკეთესად ჩატარდეს, მცირე დარღვევებზე რეაგირებაა საჭირო.

კოჟორიძის ინფორმაციით, პროკურატურის წარმომადგენლები ამ საკითხით დაინტერესდნენ და მზადყოფნა გამოთქვეს, რომ საია-ს განცხადებას შეისწავლიან.

კოჟორიძის განმარტებით, სხვის ნაცვლად ხმის მიცემა არა მხოლოდ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა, არამედ სისხლის სამართლებრივი დანაშაულიცაა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ თამარ ჟვანიამ უწყებათშორისი კომისიის წევრებს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პარტიების წარმომადგენლებს ინფორმაცია მიაწოდა იმ პროცესების შესახებ, რომლებიც ამჟამად საოლქო საარჩევნო კომისიებში მიმდინარეობს. როგორც ჟვანია აღნიშნავს, კომისიებში იმ განცხადებებსა და შენიშვნებს განიხილავენ, რომლებიც, ძირითადად, პროცედურულ დარღვევებს ეხება და მათი რაოდენობა საკმაოდ მცირეა.

თამარ ჟვანიას თქმით, შეხვედრის ყველა მონაწილემ დაადასტურა, რომ დარღვევები იმ სახის არ ყოფილა, რასაც არჩევნების შედეგებზე გავლენის მოხდენა შეუძლია. **„განცხადებებში ითხოვენ მცირე პროცედურული დარღვევების გამო სხვადასხვა უბნების კომისიის წევრთა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, მათ შორის, ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საკონტროლო ფურცლის არასწორი შევსება და მარკირების წესების მცირედი დარღვევები,“** - აღნიშნავს ჟვანია.

საკუთარი ინფორმაცია

სირიაში ინსპექტორებს ქიმიური იარაღის ორი საცავი დარჩათ შესამოწმებელი

ქიმიური იარაღის აკრძალავის ორგანიზაციის ინსპექტორებმა სირიაში ამ იარაღის შენახვისა და დამზადების 23 ადგილიდან უკვე 21-ს მონახულება შეძლეს. ინსპექტორებს მონიტორინგისთვის გამოყოფილი ვადა პარასკევს ეწურებათ, ორი დარჩენილი ადგილის შემოწმება, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, ამ დრომდე ვერ ხერხდება. ორგანიზაციის წარმომადგენლმა მაიკლ ლუანმა ორშაბათს განცხადა, რომ დარჩენილი ორი შენობა იმ ადგილზე მდებარეობს, სადაც სირიის სამთავრობო ძალები და ამბოხებულები ერთმანეთს ებრძვიან. გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციის თანახმად, სირიამ ქვეყანაში არსებული ქიმიური იარაღის მარაგი 2014 წლის შუა პერიოდისათვის მთლიანად უნდა გაანადგუროს. ქვეყანაში კონფლიქტი 2011 წლის მარტში დაიწყო, რასაც, გაეროს მონაცემებით, 110 000 ადამიანზე მეტი ემსხვერპლა.

სომალიში უპილოტოდან ნასროლი რაკეტით „აშ-შაბაბის" წევრები დახოცეს

სომალიში ამერიკის მიერ უპილოტო საფრენი აპარატიდან განხორციელებულ იერიშს „აშ-შაბაბის" ორი წევრი შეეწირა. ეს „სი-ენ-ენ"-ს ამერიკის ოფიციალურმა პირებმა დაუდასტურეს. ერთ-ერთი მოკლული ანტას სახელით ცნობილი მებრძოლია, რომელიც ასაფეთქებელი მოწყობილობების ექსპერტი და ჯგუფის წამყვანი ფიგურა იყო. მეორე მოკლულის ვინაობა ამ დროისთვის დადგენილი არ არის. სექტემბერში ნაირობის სავაჭრო კომპლექსზე თავდასხმა, რასაც 67 ადამაინი ემსხვერპლა, სწორედ „აშ-შაბაბის" მიერ იყო ორგანიზებული.

ირანისა და «IAEA»-ს შორის მოლაპარაკებები გრძელდება

ორშაბათს ვენაში ირანსა და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს შორის ორდღიანი მოლაპარაკებები ჩატარდა. მოლაპარაკებების მეორე სამუშაო დღის დასაწყისში ვენაში მდებარე საერთაშორისო ორგანიზაციებში ირანის მუდმივმა წარმომადგენელმა რეზა ნაჰაფმა პრესასთან კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადა. ორშაბათს ერთმანეთს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს დირექტორი იუკია ამანო და ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე აბას არაქჩი შეხვდნენ. მხარეებმა პირობა დადეს, რომ განცხადებებს მოლაპარაკებებს დასრულების შემდეგ გააკეთებენ. დასავლეთი შიშობს, რომ ირანი ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობს, რის გამოც ამ ქვეყანას მკაცრი ეკონომიკური სანქციებიც დაუწესდა. თეირანი ამ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს. ირანის ახალმა პრეზიდენტმა ჰასან როუჰანიმ უკვე რამდენჯერმე განაცხადა, რომ ირანს ბირთვული იარაღი არასდროს ექნება. ბოლო პერიოდში ირანსა და ამერიკას შორის ურთიერთობის შედარებით გაუმჯობესებაზე საუბრობენ, რის ერთ-ერთ მაგალითად ამერიკისა და ირანის პრეზიდენტების შორის სატელეფონო საუბარს ასახელებენ.

„გაზპრომი" უკრაინისგან 882 მილიონ დოლარს ითხოვს

კომპანია „გაზპრომის" ხელმძღვანელ ალექსეი მილერის განცხადებით, უკრაინას ამ დრომდე არ გადაუხდია აგვისტოს თვის დავალიანება, რაც 882 მილიონ დოლარის შეადგენს. მილერის თქმით, აგვისტოს თვეში მიწოდებული გაზის საფასური, დადებული კონტრაქტის მიხედვით, უკრაინას 1 ოქტომბრამდე შეეძლო გადაეხადა: „ოქტომბერი გადის და ჯერ კიდევ არ არის გადახდილი," - აღნიშნავს მილერი. მან ასევე აღნიშნა, რომ მოსკოვმა კიევს გაზი ფასდაკლებით მიაწოდა - 5 მილიარდი კუბური მეტრი, ათას კუბურ მეტრზე 269 დოლარად მიყიდეს, რაც ნიშნავს რომ 1 მილიარდ დოლარზე მეტი ფასდაკლება გამოვიდა. რუსული კომპანიის ხელმძღვანელმა უკრაინას ამ პრობლემის „სწრაფად" მოგვარებისკენ მოუწოდა.

პუტინი: გეებო, ლესბოსელებო მობრძანდით სოჭში, ოლიმპიადაზე

რუსეთის პრეზიდენტ განცხადებით, 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადაზე სოჭში ჩასვლა ყველას შეუძლია, მიუხედავად მათი სექსუალური ორიენტაციისა. პუტინმა ეს ორშაბათს თქვა, როდესაც სოჭის საზაფხულო რეზიდენციაში ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ტომას ბახი და სხვა ოფიციალური პირები მიიღო. „ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, ორგანიზატორებიც და ჩვენი ათლეტებიც, რათა სოჭში მონაწილეებმა და სტუმრებმა კარგად იგრძნონ თავი, მიუხედავად მათი ეროვნებისა და სექსუალური ორიენტაციისა," - აღნიშნა პრეზიდენტმა.

2013 წლის ივნისში პუტინმა ხელი მოაწერა პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს, რომელიც რუსეთში არასრულწლოვანთა შორის «ლგბტ» ურთიერთობის პროპაგანდას კრძალავს. ამ კანონის მიხედვით, ხელისუფლებას შეუძლია, ნებისმიერი მოქალაქე თუ უცხოელი დააკავოს ქუჩაში შესაბამისი «სიმბოლიკით» გამოჩენისთვის. ამ კანონის გამო დასავლეთი რუსეთს აკრიტიკებს და სხვადასხვა ჯგუფები სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტისკენ მოუწოდებენ. „სი-ენ-ენ"-ის ცნობით, აგვისტოში ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტს მხარი არ დაუჭირა. მისი თქმით, ეს ნაბიჯი ამერიკელ სპორტსმენებს აზარალებს.

მოამზადა თამთა კახაძემ

ამერიკა მკვიონაჟის მასშტაბების შემცირების პირობას დებს

ივა შილაკაძე

კეიტ ალექსანდერი, ჯეიმს კლეპერი და ჯეიმს კოული

ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ინტერვიუ მისცა ორ ამერიკულ ტელეარხს „ეი-ბი-სის" და „ფაშიონს" (Fusion), რომლებთანაც განაცხადა, რომ სპეცსამსახურების მუშაობას შეამოწმებს და ელექტრონული ინფორმაციის შეკრების მასშტაბები, სავარაუდოდ, შეიზღუდება. ამის შემდეგ პრეზიდენტის პოზიცია ჟურნალისტებისთვის კიდევ ერთხელ განმარტა თეთრი სახლის პრესმდივანმა ჯეი კარნიმ. გუშინ სპეცსამსახურების საქმიანობაზე უფრო მკაცრი კონტროლის აუცილებლობის შესახებ ილაპარაკა გავლენიანმა სენატორმა დაიან ფაინსტაინმა, რომელიც აშშ-ს კონგრესის ზედა პალატაში დაზვერვის კომიტეტს ხელმძღვანელობს. ევროპა კვლავ ურთიერთობების გადახედვას ითხოვს, რათა „ნდობის აღდგენა" მალე მოხერხდეს. ამასობაში კი მასობრივი მოსმენების შესახებ ახალი ინფორმაციები გამოქვეყნდა, რომლებიც ამჯერად იტალიას ეხება.

როგორც ბარაკ ობამამ ინტერვიუში თქვა, იგი აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს საქმიანობის შემოწმებას იწყებს იმაში დასარწმუნებლად, რომ სპეცსამსხურების ხელთ არსებული ტექნიკური პოტენციალი თვალთვალის განსახორციელებლად სათანადოდ კონტროლდება. ობამას სიტყვებით, სპეცსამასხურების ამოცანაა იმის გარანტირება, რომ ამერიკელებს არაფერი ემუქრებათ. ამას გარდა, პრეზიდენტის თქმით, თავად არის დაზვერვის ინფორმაციის საბოლოო მომხმარებელი და დარწმუნებული უნდა იყოს, რომ სწორ გადაწყვეტილებებს იღებს. „ჩვენ განვსაზღვრავთ სპეცსამსახურების კურსს, მაგრამ როგორც ბოლო წლებში ვნახეთ, ისინი საკუთარ პოტენციალს ზრდიან. ამიტომ მე ვიწყებ შემოწმებას, რათა გავარკვიო, ისინი მხოლოდ იმის გამო ხომ არ აკეთებენ რამეს, რომ ამის გაკეთება შეუძლიათ." ობამას თქმით, საზღვარგარეთ სპეცსამსახურების მუშაობას გულდასმით შეამოწმებენ, რადგან ეს სამსახურები ქვეყნის შიგნით მკაცრ კანონებს ემორჩილება, უცხოეთისთვის კი შეზღუდვები გაცილებით ნაკლებია. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, მნიშვნელოვნად იზრდება სადაზვერვო პოტენციალი. „უნდა დავრწმუნდეთ, რომ საქმეს სწორად ვაკეთებთ და ეს ჩვენს ფასეულობებს შეესაბამება," - განაცხადა პრეზიდენტმა.

ამავე თემაზე საუბრისას თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯეი კარნიმ ობამას პოზიცია კიდევ ერთხელ გაიმეორა და დასძინა, რომ აშშ სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებასა და გამოყენებაზე დამატებითი შეზღუდვების შემოღების საჭიროებას აცნობიერებს. სპეცსამსახურების საქმიანობის გადახედვა, კარნის სიტყვებით, ისე უნდა მოხდეს, რომ უზრუნველყოფილი იქნეს აშშ-სა და მისი მოკავშირე სახელმწიფოების მოქალაქეთა უსაფრთხოებაც და თან დაცული იყოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაც. მათ კარგად ესმით, რომ ეს ბოლო პუნქტი ამერიკელებშიც და უცხოელებშიც გარკვეულ შეშფოთებას იწვევს. კარნიმ პირდაპირ დასმულ შეკითხვაზე ასევე პირდაპირ უპასუხა, რომ აშშ-ს თავისი სადაზვერვო შესაძლებლობები ეკონომიკური ინტერესებისთვის არ გამოუყენებია. თუმცა არც მას და არც ობამას დეტალების შესახებ არ უსაუბრიათ. ობამამაც და კარნიმაც უპასუხოდ დატოვეს კონკრეტული ბრალდებები, მათ შორის ისიც, იცოდა თუ არა ობამამ მერკელის ტელეფონის მოსმენის ამბავი.

გუშინვე აშშ-ს სენატის დაზვერვის კომიტეტის თავმჯდომარემ დაიენ ფაინსტაინმა განაცხადა, რომ ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოზე კონგრესის კონტროლი უფრო უნდა გამკაცრდეს. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ მოკავშირე სახელმწიფოთა პირველი პირების ტელეფონების მოსმენას კატეგორიულად ეწინააღმდეგება. ეს, ფაინსტაინის აზრით, მხოლოდ ქვეყანასთან სამხედრო დაპირისპირების ან სხვა ექსტრემალური აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაშია შესაძლებელი. მისი თქმით, სერიოზული პრობლემაა ისიც, რომ მერკელის ტელეფონს 2002 წლიდან უსმენდნენ და ობამამ ამის შესახებ არაფერი იცოდა (სხვა საქმეა, ჩვენ ამ მტკიცებას დავიჯერებთ თუ არა). როგორც დაიენ ფაინსტაინი ამბობს, მას თეთრ სახლში შეჰპირდნენ, რომ მოკავშირე ქვეყნების პირველ პირებს აღარ მოუსმენენ, თუმცა კონგრესი მაინც აპირებს, სპეცსამსახურების საქმიანობაში უკეთ გაერკვეს. გუშინ შესაბამისი კომიტეტების გაფართოებულ სხდომაზე მიწვეულები იყვნენ ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს დირექტორი, გენერალი კეიტ ალექსანდერი, მისი მოადგილე კრის ინგლისი, ეროვნული დაზვერვის სააგენტოს დირექტორი ჯეიმს კლეპერი და გენერალური პროკურორის მოადგილე ჯეიმს კოული.

გუშინ ევროპარლამენტის დელეგაციის წევრები, რომლებიც ამ საკითხის გასარკვევად ამერიკაში ჩავიდნენ, აშშ-ს კონგრესიდან კოლეგებს შეხვდნენ. დელეგაციის ბრიტანელმა წევრმა კლოდ მორაესმა მედიას განუცხადა, რომ ამერიკელების ზოგადმა ფრაზებმა და ჩამოყალიბებულმა კლიშეებმა იმ სტილში, რომ „თვალთვალი ყოველთვის იყო", ევროპელები ვერ დააკმაყოფილა.

სამშაბათსვე იტალიურმა გაზეთებმა გაავრცელეს ინფორმაცია იტალიაში ერთი თვის განმავლობაში 46 მილიონი სატელეფონო ზარის მოსმენის შესახებ. ისევ ლაპარაკია, სავარაუდოდ, 2012 წლის დეკემბრიდან 2013 წლის იანვრამდე პერიოდზე, როგორც საფრანგეთის, გერმანიის და ესპანეთის შემთხვევებში და სავარაუდოდ ისევ „მეტა-მონაცემებზე" (ანუ ზარის დრო, ხანგრძლივობა, ვინ ვის ურეკავდა და საიდან). იტალიის მთავრობის თანახმად, ეს ინფორმაცია ჯერ შეუმოწმებელია და მათ ამ ჯაშუშური საქმიანობის მტკიცებულებები არ აქვთ.

ჩვენ გუშინდელ სტატიაშიც ვწერდით, რომ საინტერესოა, ვინ აკონტროლებს ევროპის ქვეყნების შესახებ ამ ცნობების მედიაში მოხვედრას ასეთი „ჩამოყალიბებული გრაფიკით" - დაახლოებით, სამდღიანი შუალედით. საინტერესოა ისიც, რატომ ფიგურირებს ყველგან ერთი თვის მონაცემები და ყველგან ერთი და იგივე დრო - შარშანდელი დეკემბერი-წლევანდელი იანვარი. უბრალოდ, სნოუდენს მხოლოდ ამ ერთი თვის მონაცემები ჩაუვარდა ხელში თუ ამერიკელებმა სადაზვერვო მანქანა მთელი სიმძლავრით ამ ერთი თვის განმავლობაში ჩართეს და საკუთარი სტრუქტურების ტექნიკური შესაძლებლობები შეამოწმეს?

ჩრდილოეთ ევროპას „წმინდა იუდამ" გადაუარა

პირველი გვერდიდან

ლონდონი შტორმის შემდეგ

ეს ამ რეგიონში ბოლო 25 წლის განმავლობაში უძლიერესი შტორმი აღმოჩნდა. ქარის სიჩქარითა და გამოწვეული ზარალით მას 1987 წლისა და 2002 წლის ქარიშხლებს ადარებენ. ყველაზე დიდი სიჩქარე დიდ ბრიტანეთთან კუნძულ უაიტზე 28 ოქტომბერს გრინვიჩის დროით დილის 5 საათზე დაფიქსირდა. გუშინდელ დღემდე კი შედარებით დაიკლო, თუმცა რუსეთამდე მიღწეული შტორმის სიმძლავრეც გარკვეულ მომენტში წამში 28 მეტრს აღწევდა.

გრიგალს ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, სულ ცოტა, 14 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. აქედან 4 ადამიანი დაიღუპა დიდ ბრიტანეთში და, სულ ცოტა, 7 - გერმანიაში (სხვა მონაცემებით, გერმანიაში 8 ადამიანია მკვდარი). თითო კაცი შეეწირა შტორმს საფრანგეთში, დანიასა და ნიდერლანდებში. ცხადია, არიან დაშავებულებიც. ადამიანების უმრავლესობა ქარის მიერ მოგლეჯილი ხეების დაცემის შედეგად საკუთარ მანქანებში დაიღუპა. ერთი 17 წლის გოგონა იმავე მიზეზით დაიღუპა ბრიტანეთში, ბორბლებიან სახლში ძილის დროს. რამდენიმე კაცი გერმანიაშიც და სხვაგანაც კედლის ნანგრევების ქვეშ მოყვა, ხოლო ერთი 47 წლის ქალი საფრანგეთში სეირნობის დროს ზღვამ გაიტაცა. დიდ ბრიტანეთში ხის წაქცევამ გაზის მილი დააზიანა, რამაც ძლიერი აფეთქება და სამი სახლის დანგრევა გამოიწვია. ორი ადამიანის ცხედარი სწორედ ამ სახლების ნანგრევებში იპოვეს.

ზარალი სერიოზულია და იმაზე გაცილებით მეტია, ვიდრე მეტეოროლოგები და შესაბამისი საგანგებო სამსახურები ელოდნენ. ქარიშხალმა «წმინდა იუდამ» ლონდონში ევროპის უდიდეს აეროპორტ ჰიტროუში 130 რეისის გაუქმება გამოიწვია. რეისები გადაიდო სხვა აეროპორტებშიც, როგორც დიდ ბრიტანეთში, ასევე ევროპის სხვა ქვეყნებშიც, რომლებიც სტიქიამ დაზარალა. გაუქმდა მატარებლების ათობით რეისი, შეფერხებებით მუშაობდა ლონდონის მეტრო, 28-ში დილას რამდენიმე საათის განმავლობაში არ მოძრაობდნენ «ევროსტარის" მატარებლები, რომლებიც გაერთიანებულ სამეფოს კონტინენტურ ევროპასთან ლა-მანშის ქვეშ გამავალი გვირაბით აკავშირებენ. მდინარე ტემზაზე რამდენიმე ხიდი, ბრიტანეთის უდიდესი პორტი დუვრი და საფრანგეთთან საბორნე მიმოსვლაც დაიკეტა.

სტიქიის ზონაში მოყოლილ თითოეულ სახელმწიფოში ელექტროენერგიის მიწოდება ათობით და ასობით ათას მცხოვრებს შეუწყდა. ზოგ მოზრდილ ქალაქში მთლიანად გაითიშა დენი. მათ შორის, ლატვიის სამ ქალაქშიც კი, სადაც ქარის სიმძლავრე შედარებით შემცირებული იყო. სანაპირო ზოლში შტორმმა ბევრგან წყლის დონის აწევა გამოიწვია, მაგრამ სერიოზულად არაფერი დატბორილა. რამდენიმე პორტში ქარმა ბაგირები დაწყვიტა და გემები «აუშვა", რომლებიც საგანგებო სამსახურების «დასაჭერი" გახდა. ცხადია, ყველა ამ ქვეყანაში სტიქიის მძვინვარების პარიოდში აკრძალული იყო მცირე ზომის თევზსაჭერი გემების, ასევე სპორტული და სასეირნო გემების ზღვაში გასვლა.

ყველა ამ ქვეყანაში მასობრივად დაფიქსირდა სახლებიდან სახურავების მოგლეჯა, ხეებისა და სარეკლამო ფარების წაქცევა, რამაც ქუჩები და რკინიგზები ჩახერგა. სერიოზულად დააზიანა ავტომანქანები და სახლები. ქარს ვერც მსუბუქი კონსტრუქციის სავაჭრო რიგებმა გაუძლო საპორტო ქალაქებში და თვით ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონშიც.

მარკუს მილერის როკვა

პირველი გვერდიდან

მაილს დევისი წლევანდელ კონცერტზეც ისმოდა, თუმცა ეს დღე უფრო Renaissance-ს სახელს ატარებდა.

Renaissance მარკუს მილერის 2012 წლის, ამ დროისთვის ბოლო სტუდიური ალბომია, მისი მხარდასაჭერი ტურნე კი თითქმის ერთი წელია მიმდინარეობს. ალბომში სულ 13 კომპოზიციაა შესული, მათი დიდი ნაწილი კი დიდი საკონცერტო დარბაზის სცენიდან სრულიად არანორმალური შესრულებით მოვისმინეთ.

ეს მოსალოდნელიც იყო - მარკუს მილერისა და კომპანიის მიერ ადრე დატოვებული შთაბეჭდილება აუცილებლად უნდა გამყარებულიყო, რისთვისაც ბასისტი და მისი ბენდის წევრები ჩვეულებრივი ადამიანისთვის წარმოუდგენელ მუსიკალურ ჯადოქრობას სჩადიან, სცენიდან ბასის, დრამის, საყვირისა და საქსოფონის ნაერთისგან დამზადებულ ელექსირს გვაწვდიან და ჩვენც სრულიად გაბრუებულები ვროკავთ.

მერე როკვას თავად მარკუს მილერი იწყებს, მას შემდეგ, რაც სამი წლის წინანდელ ისტორიას იხსენებს და ამ ისტორიაზე შექმნილ კომპოზიციას Goree ჰქვია, ზუსტად ისე, როგორც სენეგალის ერთ კუნძულს, რომელიც ოდესღაც აფრიკელი მონების სავაჭრო ცენტრად მიიჩნეოდა. ამ კუნძულზე მონებით ვაჭრობისადმი მიძღვნილი მუზეუმი არსებობს. მარკუს მილერი იხსენებს იმ ვიწრო, ბნელ და ნესტიან ოთახებს, სადაც მონებით მოვაჭრეები გასაყიდად შერჩეულ ადამიანებს ამწყვდნენ, შემდეგ კი ოკეანის გავლით ახალ მფლობელებთან ამგზავრებდნენ. Goree სწორედ ამ ადამიანებს ეძღვნება. კომპოზიცია მშვიდი აკორდებით იწყება, რამდენიმე წუთში კი ველურ მუზიცირებად იქცევა, თავად მუსიკოსი კი ნივთებივით გაყიდული ადამიანებისთვის ცეკვავს, სცენაზე ტრიალებს, ხელებს ცისკენ აღმართავს, თითქოს ღმერთებს მათი სულების დამშვიდებას სთხოვს, თავად მათ კი არაადამიანური ტკივილისა და დამცირების დაძლევისთვის მადლობას ეუბნება.

ცხადია, ამ დროს მარკუს მილერის გვერდით მისი მუსიკოსები არიან. პირველ რიგში, ალექს ჰანი, 25 წლის საქსოფონისტი, რომელიც ჩვენს მსმენელს წინა კონცერტებიდანაც ახსოვს და ორიოდე წლის წინანდელი დინი ვირსალაძის ძალიან კარგი პროექტიდანაც. საინტერესოა, რომ ალექს ჰანისთვის საქართველო მხოლოდ სცენა აღარ არის - მას ქართველი ნათლია ჰყავს... 2009 წლის კონცერტზე მარკუს მილერს მესაყვირე კრისტიან სკოტი ახლდა, წელს კი მისი ადგილი ლი ჰოგანსმა დაიკავა. ახლები არიან დრამერი რობერტ სირაიტი გიტარისტი ადამ აგატი და პიანისტი ბრეტ უილიამსი. მარკუს მილერი სწორედ ამ შემადგენლობით მოგზაურობს დედამიწის გარშემო და ყველგან Renaissance-ის აკორდების პატარა ნიშნულებს ტოვებს.

თბილისის მე-16 ჯაზფესტივალი ავიშაი კოენის ბენდის კონცერტმა გააგრძელა, რომლის შესახებაც ხვალ მოგითხრობთ. ფესტივალის დღევანდელი აფიშა კი DJ Logic-ის კონცერტს გვაუწყებს. ხვალ ფესტივალი ისვენებს, 1-ლ ნოემბერს კი მსმენელის წინაშე განუმეორებელი ნატალი კოლი წარსდგება.

თბილისის ჯაზფესტივალის სპონსორია თიბისი სტატუსი, ხოლო მხარდამჭერები თბილისის მერია და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

დისკუსია ურბანული მემკვიდრეობის შესახებ

დღეს, 30 ოქტომბერს, 14:00 საათზე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში, „თბილისის ჰამქარი“ გამართავს შეხვედრას უცხოელ ექსპერტებთან ურბანული მემკვიდრეობის რესტავრაცია-რეაბილიტაციის დაფინანსების საკითხებთან დაკავშირებით.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, თბილისის ჰამქარმა მოიწვია ექსპერტები ნიდერნალდებიდან ალე ელბერსი და ესტენ ვან სტეეკელენბური, რომელთაც ნიდერლანდებში, აღმოსავლეთ ევროპასა და აზიის ქვეყნებში კულტურული მემკვიდრეობის სფეროში პოლიტიკის შემუშავებისა და იმპლემენტაციის დიდი გამოცდილება აქვთ(ალე ელბერსი არის ავტორი კანონისა ნიდერლანდებში მემკვიდრეობის დაცვის და დაფინანსების შესახებ).

შეხვედრას ასევე დაესწრებიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილი, კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ბესიკ მაცაბერიძე, თბილისის ჰამქარის წევრები.

შეხვედრაზე უცხოელ ექსპერტებთან ერთად განხილული იქნება მემკვიდრეობის დაცვის, მართვის და დაფინანსების მექანიზმები საერთაშორისო გამოცდილების მაგალითებზე; მხარეები ისაუბრებენ საქართველოში არსებულ სიტუაციასა და პრობლემების გადაწყვეტის გზებზე. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ მოწვეული უცხოელი ექსპერტები ქართულ მხარეს რეკომენდაციებს მიაწვდიან.

შეხვედრის ორგანიზატორია თბილისის ჰამქარი.

შეხვედრაზე მიწვეული არიან კულტურული მემკვიდრეობის დარგში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, საქართველოში მოქმედი სამშენებლო დეველოპერული კომპანიების წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები, ასევე წარმომადგენლები ეკონომიკის, ფინანსთა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან. **24 საათი**

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130023528

შემსყიდველი	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	29.10.2013 16:36
წინადადებების მიღება იწყება	01.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	05.11.2013 14:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	39992 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	45400000-შენობის დასრულების სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	45400000-შენობის დასრულების სამუშაოები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 კალენდარული დღის ვადაში
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	400 ლარი
გარანტიის ოდენობა	400 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130023481

შემსყიდველი	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	28.10.2013 20:35
წინადადებების მიღება იწყება	31.10.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	04.11.2013 14:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	908 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	15800000-სხვადასხვა საკვები პროდუქტი
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	15800000-სხვადასხვა საკვები პროდუქტი
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	დეტალური ინფორმაცია იხილეთ ტექნიკურ დავალებაში
მოწოდების ვადა	ეტაპობრივად, მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	4 ლარი
გარანტიის ოდენობა	9 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130023479

შემსყიდველი	ს.ს. უნივერსალური სამედიცინო ცენტრი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	28.10.2013 19:17
წინადადებების მიღება იწყება	31.10.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	04.11.2013 14:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	850 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	90900000-დასუფთავება და სანიტარიული მომსახურება
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	90921000-დეზინფექციასა და დეზინსექციასთან დაკავშირებული მომსახურებები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. ტექნიკური დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღე - 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	15 ლარი
გარანტიის ოდენობა	9 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130023482

შემსყიდველი	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	28.10.2013 20:35
წინადადებების მიღება იწყება	31.10.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	04.11.2013 14:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	1435 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	15500000-რძის პროდუქტები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	15500000-რძის პროდუქტები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	დეტალური ინფორმაცია იხილეთ ტექნიკურ დავალებაში
მოწოდების ვადა	ეტაპობრივად, მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	6 ლარი
გარანტიის ოდენობა	14 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130023478

შემსყიდველი	ს.ს. უნივერსალური სამედიცინო ცენტრი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	28.10.2013 19:14
წინადადებების მიღება იწყება	04.11.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	06.11.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	4000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	79800000-ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	79823000-ბეჭდვა და ადგილზე მიწოდება
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. ტექნიკური დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღე - 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	40 ლარი
გარანტიის ოდენობა	40 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130023483

შემსყიდველი	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	28.10.2013 20:35
წინადადებების მიღება იწყება	31.10.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	04.11.2013 13:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	1700 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	15100000-ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, ხორცი და ხორცის პროდუქტები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	15100000-ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, ხორცი და ხორცის პროდუქტები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	დეტალური ინფორმაცია იხილეთ ტექნიკურ დავალებაში
მოწოდების ვადა	ეტაპობრივად, მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	7 ლარი
გარანტიის ოდენობა	17 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130023484

შემსყიდველი	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	28.10.2013 20:36
წინადადებების მიღება იწყება	31.10.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	04.11.2013 12:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	1124 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	03200000-ბურღულეული, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და თხილეული
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	03200000-ბურღულეული, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და თხილეული
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	დეტალური ინფორმაცია იხილეთ ტექნიკურ დავალებაში
მოწოდების ვადა	ეტაპობრივად, მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	4 ლარი
გარანტიის ოდენობა	11 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130023487

შემსყიდველი	გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	29.10.2013 10:38
წინადადებების მიღება იწყება	31.10.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	04.11.2013 15:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	3500 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	32300000-ტელე- და რადიოსიგნალის მიმღებები და აუდიო- ან ვიდეოგამოსახულების ჩამწერი ან აღწარმოების აპარატურა
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	32300000-ტელე- და რადიოსიგნალის მიმღებები და აუდიო- ან ვიდეოგამოსახულების ჩამწერი ან აღწარმოების აპარატურა
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	დამატებითი ინფორმაცია იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	2013 წლის 30 ნოემბრამდე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	35 ლარი
გარანტიის ოდენობა	35 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

ახალი სისხლი, ტიმი, რეანიმატორები

ზურა თალაკვაძე



ტიმ დანკანი



ტონი პარკერი

დევიდ სტერნი წავიდა და ჩემპიონი ლებრონია. სტერნი უნდა წასულიყო და ლებრონი ჩემპიონი უნდა იყოს. სტერნი კარიერული ნაოჭებით, ბევრი მილიონით და მსუყე კონტრაქტით დაიღალა და ლებრონი სხვას ღლის, ამცირებს, თავმოყვარეობას ულახავს. სტერნი ლებრონებს ხელფასს აჭრიდა და ლებრონი სხვებს ხელებს აჭრის. და იქვე, მტვრიან გზაზე ტოვებს. ლებრონი ტიტანია და ტიტანების ლიგაში ახალი სეზონი იწყება. ცოტა სხვა სეზონი. ბევრს ბევრი აქვს სათქმელი და დასამტკიცებელი. ლებრონი ხმას არ ამოიღებს და სხვებს დააკვირდება. ლებრონი დააკვირდება კევინ დიურანს, რომელიც რეგულარულს რას უესთბრუქის გარეშე დაიწყებს და კევინი მოუმატებს. ალბათ, «ოკლაჰომაც». ლებრონი დააკვირდება ახალ «კლიპერსს» ძველი კრის პოლით და ახალი მემანქანით (დოკ რივერსი). ლებრონი დააკვირდება, როგორ შეეწყობა «ინდიანას» გუნდურ ამბებს ლუის სკოლა. და ლებრონი სკოლას პატივს სცემს. სკოლა არგენტინელია. ლებრონი დააკვირდება, როგორ დალაგდება ან დასაშლელი გახდება «ნიუ იორკი», სადაც კარმელო ენტონიმ კიდევ ერთი მაგარი ჩამგდები და იმპოტენტი დამცველი მიიღო - ანდრეა ბარნიანი. ლებრონი დააკვირდება მიხაილ პროხოროვის კაპიტალით შექმნილ გუნდს, სადაც ჯეისონ კიდი მთავარი მწვრთნელია და გარნეტ-პირს-კირილენკოს ტრიო პრობლემებს მოაგვარებს. ან პრობლემები კიდს ექნება. და ლებრონი დააკვირდება დუაიტ ჰოვარდის ახალ გუნდსაც, სადაც ჯეიმს ჰარდენი პირველი გაროტაა და მერე მოდის ჰოვარდი. ეს არ შეიცვლება. ლებრონი კიდევ ერთ გუნდს დააკვირდება. არა «ლეიკერსს». იქ ყველაფერი ისეა, როგორც კობის უნდა. ლებრონი სხვა, უინტერესო და საინტერესო გუნდს დააკვირდება. ის გუნდი შარშან ფინალში იყო. ლებრონს ეს ახსოვს. ლებრონი იმ გუნდს დიდ პატივს სცემს და ლებრონმა იცის, რომ ის გუნდი ყოველთვის ბრუნდება. ერთი და იგივე მისიით. ის გუნდი უნდა გავიდეს სუპერფინალში და იქ გამოცდილებით, მოწინებით და კლასით გააკეთოს საქმე. ლებრონი იმ გუნდს დიდ პატივს სცემს. ისევე როგორც კალათბურთის ყველა გულშემატკივარი. ის გუნდი გრეგ პოპოვიჩისა და ტიმ დანკანის «სან ანტონიო სპერსია». ახალი, ძველი «სან ანტონიო» ახალი, ძველი დანკანით.

სან ანტონიო 2013/14

მანუ ჯინობილი - 36 წლის, 11 სეზონი ლიგაში, ამ რეგულარულის კუში - **14 107 492 $**, **ტონი პარკერი** - 31, 12, **12 500 000**, **ტიმ დანკანი** - 37, 16, **9 638 554**, **ბორის დიაო** - 31, 10, **4 500 00**, **ტიაგო სპლიტერი** - 28, 3, **3 944 000**, **მეტ ბონერი** - 33, 9, **3 630 000**, **დენი გრინი** - 26, 4, **3 500 000**, **მარკო ბელინელი** - 27, 6, **1 957 000**, **კავაი ლეონარდი** - 22, 2, **1 809 840**, **ჯეფ ეირსი** - 26, 4, **1 500 000**, **ნანდო დე კოლო** - 26, 1, **1 400 000**, **პატრიკ მილსი** - 25, 4, **1 085 120**, **კორი ჯოზეფი** - 22, 2, **1 074 720**, **კორტნი ფელსი** - 27, 0, **ჯერ უკონტრაქტოდ**, **აარონ ბეინსი** - 26, 1, **ჯერ უკონტრაქტოდ**, **დან ნუალილი** - 29, 0, **ჯერ უკონტრაქტოდ**.

Head Coach - გრეგ პოპოვიჩი.

«სან ანტონიო» არ იცვლება. ლებრონ ჯეიმსი უფრო დაუნდობელი გახდა და ლებრონი უნდა იყოს უფრო დაუნდობელი. კობი ბრაიანტი უფრო დაბერდა და ესეც ლოგიკურია. კობი ჰარისონ ფორდის ექსპედიციაში არ ყოფილა და იმ ერთ გრაალშიც არ ჩასულა. დაეზარა. კრის პოლი უფრო ჩვეულებრივი გახდა და კრის პოლი უნდა შეიცვალოს. ბიჭი ადრე იგებდა. ეს კრისი უფრო წუწუნებს და დოლარებს ითვლის. არ შეიძლება. «სან ანტონიო» არ იცვლება. სისტემა, რომელიც სისტემას და დისციპლინას ემსახურება. სისტემა, რომელიც შექმნა გრეგ პოპოვიჩმა და იმ სისტემის ხერხემალი ერთი ბუნჩულა ტიპია, რომელიც ვირჯინიის კუნძულებზე უკვე საბავშვო ბაღების მშენებლობაზე გადავიდა და ეს საქმე ძალიან მოსწონს. ტიმ დანკანი საბავშვო ბაღებს ხსნის და საკუთარ სამწამიანს კეტავს. ხდება ხოლმე. ტიმის არ მოსწონს, ჰოვარდები და ჰარდენები გრეგის ბაღში რომ დადიან და მწვანე ვაშლს იპარავენ. დანკანი გრეგის როტვეილერია. დაღლილი როტვეილერი, რომელიც ისვენებს. «სან ანტონიოც» ისვენებს და თუ გრეგის ტანკი არ დადგება, ეს ტანკი ბოლო სერიამდე მივა.

იტალიელი

პოპოვიჩის სისტემამ მარკო ბელინელი მიიღო. და გარი ნილი გაუშვა. და ბელინელი არასტაბილური შუთერია. რაც გრეგმა უნდა მოაგვაროს. პოპოვიჩს მოსწონს არაამერიკელი მსროლელები, რომლებიც არაამერიკულად იგებენ. კალათბურთით უფრო იგებენ, ვიდრე აგრესიით და გრეგმა ბელინელის პლუსები მოინიშნა. მარკოს ეს პლუსები რეალურად აქვს - სწრაფი რელიზი (ბურთს სწრაფად უშვებს. თითქმის რეი ალენივით), ნორმალური პასი, შეუძლია კარგად გადმოიტანოს ბურთი და რამდენიმე წამით დაასვენოს ძირითადი პირველი ნომერი. ყველაფერი ეს მარკოს აქვს და ცოტა მერე იწყება ბელინელის მინუსები - დროდადრო ზედმეტი ინდივიდუალიზმი და მარკომ თუ გაჭედა, ბევრს და ჩაგდებამდე ისვრის. შეიძლება საერთოდ ვერ ჩააგდოს და გუნდი იტალიელს ვერ დაელოდება. პოპოვიჩი იტალიელს არ დაელოდება. გრეგს ამ რეჟიმში დარჩენა არ მოსწონს და ეს იციან. ეს იციან ტიმიმ და ტონიმ. ეს იციან არგენტინელმა და ჭკვიანმა, მსუქანმა ფრანგმა. ეს ბევრმა იცის და ეს ჩვეულებრივი ამბავია. ეს უნდა გაიგოს იტალიელმაც. და გრეგი ამას გააკეთებს.

ბელინელი «გოლდენ სტეიტში» იწყებს კარიერას. ორი რეგულარული ოკლენდში და მარკო საშუალოდ 2.9 და 8.9 ქულას იღებს. იზრდება იტალიელის დრო და იშლება ბიჭის სტატისტიკაც. მარკო გადადის «ტორონტოში» (7.1) და ის სეზონი გავატარეთ. ის სეზონი ბელინელიმაც გაატარა. მარკომ კანადაში დაისვენა, «მეიპლ ლივზის» თამაშებზე შეიარა, მათს სუნდინთან იჭორავა და ახალი სეზონი «ნიუ ორლეანში» დაიწყო. იქ ცოტა სხვა გუნდია და მარკოც ამოწიეს, მეტი სროლა, მეტი ნდობა და მეტი წუთი მისცეს. იტალიელმა ჯერ 105, შემდეგ 11.8 ქულა აკრიფა და მეორე სეზონის მეორე ნახევარში უკვე თითქმის 30 წუთს იღებს. ბელინელი შეუზღუდავი უფლებების მქონე თავისუფალი აგენტის სტატუსით გადადის «ჩიკაგოში». მისტერ ტიბოდომ მარკოს 9.6 ქულა და 79 (73 ტესტში) სამიანი მიიღო. და კონტრაქტი არ გაუგრძელა. უკონტრაქტო და უკონტაქტო იტალიელი «სან ანტონიომ» დაიმატა. და პოპოვიჩი ჯერ კმაყოფილია. გრეგის სკაუტები იყვნენ სლოვენიაში, ევრობასკეტზე, სადაც იტალიის ნაკრები ჩანდა. ის იტალია მერვეზე გადის, უგებს ესპანეთს და ბელინელიმ ტურნირი 13.6 ქულით, 4.0 მოხსნით და 2.2 პასით დახურა. ჩვეულებრივი სტატისტიკა ევროლიდერისგან. ყოველ შემთხვევაში, იქ ტონი პარკერიც იყო და ეს არ ითვლება. პარკერი ცალკე ჩემპიონატზე თამაშობდა და ტონი იტალიურ ჩექმის არ იმჩნევდა. ტონის ეს არ აინტერესებდა. ბელინელიმ ეს გაიგო და მარკომ მარკ გასოლის ესპანეთთან 16 ქულა, 8 მოხსნა აიღო. და საბერძნეთთან 23+7 მოხსნა+3 პასი+3 ჩაჭრა. და ლიტვასთან 22 ქულა. 2 ჩაჭრასთან ერთად. ბელინელი თამაშობდა, უმატებდა იმ გარჩევებში, სადაც საჭირო იყო. მარკო ცისფერი გუნდის ლიდერია და მარკომ სანდო კალათბურთი გრეგის გასიენდაზეც უნდა ითამაშოს. ან პოპოვიჩი მას წუთებს წართმევს. გრეგის ნდობა დიდი ბონუსია. ბელინელიმ ეს იცის და მარკოს გაუმართლა, რომ «სან ანტონიოში» მოხვდა.

მოხუცი

რენესანსი კარგი სიტყვაა, ბევრ რამეს გახსენებს. «სან ანტონიოში» რენესანსი ტიმ დანკანის თვალებში და ამ გოლიათის თითებშია. ტიმი არ უნდა დააღალატო. იმიტომ რომ ტიმი არასოდეს არ დაგაღალატებს. დანკანს ნდობა, ტრადიცია, სითბო და აგრესია მოაქვს. უბრალოდ, იმ აგრესიას ვერ ამჩნევ და თუ ტიმი ძალიან შეგაწუხებს, შაკივით იტყვი, რომ მისტერ დანკანი ჩუმი მკვლელია. და შაკი მართალია. ტიმიმ იცის, როდის დაგჭრას, როდის დაიწყოს საკუთარ ჰოსტელში შენი შეყვანა და იქ ბოლო დარტყმას მოგაყენებს. არ გაგაფრთხილებს ჯორდანივით ან ბერდივით. არ დაგამცირებს ბრაიანტივით ან დრექსლერივით. არ აგარტყამს ტომასივით ან მელოუნივით. უბრალოდ, შეგიყვანს ჰოსტელში და მეტს ვერაფერს ვერ იგრძნობ. დანკანმა ეს იცის. დანკანი ამ დიეტაზე ზის და ტიმის შარშანდელი სეზონი კლასიკა იყო. დანკანის, პოპოვიჩის, კალათბურთის კლასიკა.

მანამდე, ზედიზედ ორ სეზონში, ტიმის სტატისტიკა ბერდებოდა. ლეგენდარული ფორვარდის ასაკის მატებასთან ერთად ბერდებოდა და ტიმის სტატისტიკა ორდინარული გახდა. **2010/11** - 134+8.9 მოხსნა+1.9 დაფარება; **2011/12** - 15.4+9.0+1.5. და დანკანი გუნდის მეორე ოფცია, სათადარიგო «მაგნუმი» გახდა. გრეგი ამ იარაღს იშვიათად იღებდა. უფრო დასაშინებლად, ვიდრე - სასროლად. დანკანი პოპოვიჩის კლინტ ისტვუდი გახდა. ხარისხი არის, თვალებში შარმი და მკვლელის ნაპერწკალი გაირბენს, მაგრამ ტიმი ფლეი ოფისთვის ისვენებდა. შარშან დანკანმა აიშვა. ჯერ რეგულარულში, შემდეგ ფლეი ოფში გააკეთა საქმე და ტიმი პირველ ხუთეულში შეიყვანეს. პირველად, 2006/07 წლების რეგულარულის შემდეგ. დიდი პაუზა იყო. დანკანის რენესანსი სეზონის ერთ-ერთი დასამახსოვრებელი ეპიზოდია. ტიმის კალათბურთში ბავშვური ენთუზიაზმი და ჯეფრი დამერის ინსტინქტები დაბრუნდა. დანკანის შარშანდელი სტატისტიკა - 17.8+9.9 მოხსნა+2.7 დაფარება+2.7 პასი. პირველად, 2003/04 წლების სეზონის შემდეგ, ტიმი საშუალოდ 2.7 დაფარებას აგროვებს. პოპოვიჩმა დაისვენა, გრეგი ჩაგორდა ჰამაკში და ძველი გაზეთი გაშალა. იმ გაზეთის პირველ გვერდზე ტიმი კენიონ მარტინს უფარებს და ის გაზეთი ძველია, ათი წლის წინ წინანდელი. დანკანი მაშინ ალ კაპონე იყო. ეს დანკანი სხვა თემაა. ეს ტიმი აგრესიას ანაწილებს, ზედმეტად არ შეგაწუხებს, ზედმეტს არ გაკადრებს და ღიმილით, პატივისცემით, მოწიწებით შეგისრულებს. ტიმის ეს გრეგმა ასწავლა და დანკანი კარგი მოსწავლეა. ტიმი უფრთხილდება ტრადიციებს და გრეგს. გრეგი ამას აფასებს. და არა მხოლოდ ამას. დანკანმა ბევრი გააკეთა. თუ ტიმის სხეული კიდევ ერთ დიდ მარათონს გაუძლებს, «სან ანტონიო» სუპერფინალში დაბრუნების ფავორიტი იქნება. ახალ იტალიელთან, ძველ გრეგთან და ჩვეულებრივ ტიმ დანკანთან ერთად. ტიმი ფლეი ოფისთვის იღლება და ტიმი აპრილიდან იწყებს ხატვას. ბევრი გამოფენა, სადაც შედიხარ და დარბაზიდან გამოსვლა გავიწყდება. იქ ტიმის ნამუშევრებია და იქ ტიმის ტერიტორია, მოხუცი მეომრის ნაკრძალია, რომელსაც უფრთხილდებიან. რომელსაც პატივი უნდა სცე და რომელიც კალათბურთის მარანი, ისტორიაა. ისევე როგორც ტიმ დანკანი, რომელიც 25 აპრილს 38 წლის გახდება და კიდევ ორი სეზონი აქვს დარჩენილი. ტიმიმ კიდევ ორი სეზონი უნდა დატოვოს და მერე წავა. დანკანის ეპოქა დაუსრულებელია და მაინც დასრულდება. ყველაფერი მთავრდება. ტიმ დანკანიც. გრეგი ახალ ტიმის ვერ მოიყვანს. გრეგი სხვას წამოიყვანს. და ის სხვა არ იქნება დანკანი. ვერ იქნება.

ადრე, როდესაც დევიდ რობინსონმა ფეხი მოიტეხა, დაბრუნდა, მერე კიდევ ერთი ტრავმა მიიღო და მთელი სეზონი გამოტოვა, გრეგმა შემდეგ დრაფტზე ტიმი გაშანსა. დანკანი არაფრის მოტეხვას არ აპირებს და დრაფტის პერსპექტივაში ახალი ტიმიც არ მოდის. პოპოვიჩმა ეს იცის და გრეგმა დანკანის წუთები წელს უფრო უნდა გადაანაწილოს, ცოტა შეკვეცოს, რომ ტიმი ფლეი ოფში უფრო დასვენებული და გემრიელი იყოს. პოპოვიჩს ახსოვს, რომ დაღლილი დანკანი ბევრ პრობლემას ვერ აგვარებს და ეს ტიმისაც აქვს მონიშნული. ტიმის მეგობრობის დღიურში კიდევ ბევრი რამ დარჩა და ახალ რეგულარულში ჩანაწერები კიდევ ერთხელ გაიშლება. დანკანმა ეს იცის. და გრეგი თავის მოხუც ლიდერს, თავის ახალგაზრდა მეგობარს უფრთხილდება. ისევე როგორც ტიმი უფრთხილდებოდა, უფრთხილდება გრეგს. მამა-შვილი. საუკეთესო მეგობრები, რომლებიც არ მიდიან და კიდევ ერთ წრეზე წავლენ. იმ წრეზე იქნებიან ლებრონები, ბრაიანტები და დიურანები. იმ წრეზე ტკივილი და ასაკი თვალს ჩაგიკრავენ და იმ წრეზე შენი ბოლო აკორდი უნდა აიღო. ან დაგფარავენ და უინტერესო, ცუდი მოსასმენი გახდები. დანკანი ამას არ დაუშვებს. ტიმი ზედმეტად კარგი, აკურატული და გემოვნებიანი მუსიკოსია. ტიმის ბისზე ყველა მივა. კიდევ ერთხელ მივა. დანკანი კალათბურთის სანტანა, დევიდ გილმორი, პეტ მეთენი, ალექს სკოლნიკი, მარტი ფრიდმენია. დანკანი არ ისვენებს. ტიმი, უბრალოდ, წუთშესვენებას იღებს და იცის, რომ რამდენიმე წუთში დაუძახებენ. სცენაზე დაუძახებენ და ის სცენა დანკანის პატარა სკვერია, სადაც სეირნობა ყოველთვის სასიამოვნო და განსაკუთრებულია. დადიხარ შემოდგომის თანხლებით და გრძნობ, რომ ფოთლებიც ტიმის უფრთხილდებიან. ფოთლებიც ტიმიზე საუბრობენ და იქ, იმ პატარა სკვერში, დანკანი ყველაფერია. ეს გრეგმა და ტიმიმ გააკეთეს. კიდევ ერთი სეზონი ტიმ დანკანთან ერთად.

პოპოვიჩი: «გამიმართლა, რომ ტიმი კიდევ ორი წლით მეყოლება. დანკანი არ ბერდება. სტატისტიკის შეცვლა, გაუარესება არ ნიშნავს მოთამაშის შესაძლებლობების შეცვლას და გაუარესებას. დიდი მოთამაშე უმატებს მაშინ, როდესაც გრძნობს, რომ გუნდისთვის ყველაზე საჭირო, შეუცვლელია. «სან ანტონიო» ოთხჯერ გახდა ჩემპიონი და ოთხჯერ ამ გუნდის ლიდერი, საუკეთესო მოთამაშე იყო ტიმ დანკანი. ყველაფერი მთავრდება და მალე ტიმიც წავა. მეც ვრჩები და გუნდი გააგრძელებს თამაშს, მოგებას, წაგებას. უბრალოდ, ეს სხვა გუნდი იქნება. ეს გუნდი შეიცვლება და ეს გუნდი დაკარგავს ლიდერს. იცვლებიან ლიდერებიც, მაგრამ მე ვერ ვხედავ ახალ ტიმის და ეს სევდიანი პერსპექტივაა. წარმოიდგინეთ ლიგა ტიმ დანკანის გარეშე... ეს მოსაწყენი ლიგა იქნება. ისეთივე მოსაწყენი, როგორიც თქვენთვის «სან ანტონიო» და ტიმ დანკანია. ალბათ, მეც მოსაწყენი ვარ, მაგრამ ჩვენ თვითონ ვირჩევთ იმ გზას, რომელზეც ვდგებით და რომელიც ბოლომდე უნდა გავიაროთ. ეს ჩვენი გზაა და ჩემი გზამკვლევი ყოველთვის იყო ტიმ დანკანი. ჩემი მეგობარი და საუკეთესო სტუდენტი. ჩემი მეგობარი და ჩემი ასისტენტი. ჩემი მეგობარი და ძალიან კარგი ადამიანი».

გრეგი საქმეს ამბობს. გადახედეთ ტიმის პერსონალურ მიღწევებს. თუ გაინტერესებთ. პოპოვიჩის სიტყვების შემდეგ ეს უფერული მომენტია. ისევე როგორც კალათბურთი ტიმ დანკანის გარეშე. და ეს მომენტი ორი წლის შემდეგ დადგება. მანამდე ტიმის სტატისტიკა.

8 All-Defensive 1st Team (1998-99, 1999-2000, 2000-01, 2001-02, 2002-03, 2004-05, 2007-08), **6 All-Defensive 2nd Team** (1997-98, 2003-04, 2005-06, 2008-09, 2009-10, **2012-13**), **10 All-NBA 1st Team** (1997-98, 1998-99, 1999-2000, 2000-01, 2001-02, 2002-03, 2003-04, 2004-05, 2006-07, **2012-13**), **3 All-NBA 2nd Team** (2005-06, 2007-08, 2008-09), **1 All-NBA 3rd Team** (2009-10), **All-Rookie 1st Team** (1997-98), **1 IBM Award** (2001-02), **1 NBA All-Star Most Valuable Player** (1999-2000), **3 NBA Finals Most Valuable Player** (1998-99, 2002-03, 2004-05), **2 NBA Most Valuable Player** (2001-02, 2002-03), **2 NBA Sporting News Most Valuable Player of The Year** (2001-02, 2002-03), **NBA Rookie of the Year** (1997-98).

ნაბიჭვარი

ტონი პარკერს აქვს ყველაფერი და «სან ანტონიოს“ პირველ ნომერს სადღაც მოსამატებელი აქვს. ტონი არ არის კრის პოლივით ბრძენი და მომენტს არ ელოდება, პარკერი მომენტს ქმნის. ტონი არ არის რაჟონ რონდოზე კარგი პერსონალური დამცველი. პარკერი ძალიან სუსტი პერსონალური დამცველია. ტონი არ არის დერიკ როუზის ლიგაში, როდესაც ვინმეს სამწამიანში ნაპალმია ასაფეთქებელი. ტონი არ არის როუზივით მკვლელი. პარკერს ხანდახან პარკერი აჩერებს. თუ ტონი ვერ იღებს ასაღებს, თუ ტონი პირველ ორ-სამ შანსს ვერ იყენებს, ტონის და «სან ანტონიოს» იყენებენ. ამ ნაკლის მიუხედავად, პარკერი მაინც გამორჩეულია. და ტონი პარკერი «სან ანტონიოს» გლოკია. გრეგს ეს გლოკი სულ თან დაადევს და მომენტს ელოდება. ან თავიდანვე გლოკით შედის უბანში და სხვები დისტანციაზე ჰყავს დაჭერილი. არ მომიახლოვდეთ, თორემ მიგაპარკერებთ, თქვე არაპარკერებო... პოპოვიჩს პატარა ფრანგი ნაბიჭვარი სულ იქვე, გვერდით ჰყავს. და ტონი ასრულებს. ტონიმ უნდა შეასრულოს.

ევროპის ჩემპიონატზე პარკერმა საფრანგეთს ოცნება აჩუქა. «სან ანტონიო» სხვა შემთხვევაა და «სან ანტონიოში» ტონი ტიმის, მანუს, გრეგს ელოდება. და თავის შანსს ელოდება. ტონიმ ეს შანსი დიდი ხნის წინ, დრაფტზე მიიღო და პარკერმა ეს შანსი უნდა გამოიყენოს. კიდევ ერთხელ.

20-21 ქულა. 6-7 პასი, კარგი პროცენტი თამაშიდან და 2-3 ფე-ნო-მე-ნა-ლუ-რი შესვლა ერთ თამაშში. ეს პარკერია და ტონი ახალ სეზონშიც სანდო, ფრანგული იარაღი იქნება. გრეგს გლოკი სულ იქ, ქამარში ექნება გარჭობილი და თუ ვინმე ცუდად მოიქცევა, პოპოვიჩი გლოკს, პარკერს ამოიღებს.

ტონი პარკერს აქვს ყველაფერი და «სან ანტონიოს» პირველ ნომერს სადღაც მოსამატებელი აქვს. ეს ტონიმაც იცის და ტონის ეს ტონი მაინც აკმაყოფილებს. ალბათ, გრეგ პოპოვიჩსაც.

* * *

ლებრონ ჯეიმსი ხმას არ ამოიღებს და სხვებს დააკვირდება. ლებრონი დააკვირდება კევინ დიურანს, რომელიც რეგულარულს რას უესთბრუქის გარეშე დაიწყებს და კევინი მოუმატებს. ალბათ, «ოკლაჰომაც». ლებრონი დააკვირდება ახალ «კლიპერსს» ძველი კრის პოლით და ახალი მემანქანით (დოკ რივერსი). ლებრონი დააკვირდება, როგორ შეეწყობა «ინდიანას“ გუნდურ ამბებს ლუის სკოლა. და ლებრონი სკოლას პატივს სცემს. სკოლა არგენტინელია. ლებრონი დააკვირდება, როგორ დალაგდება ან დასაშლელი გახდება «ნიუ იორკი», სადაც კარმელო ენტონიმ კიდევ ერთი მაგარი ჩამგდები და იმპოტენტი დამცველი მიიღო - ანდრეა ბარნიანი. ლებრონი დააკვირდება მიხაილ პროხოროვის კაპიტალით შექმნილ გუნდს, სადაც ჯეისონ კიდი მთავარი მწვრთნელია და გარნეტ-პირს-კირილენკოს ტრიო პრობლემებს მოაგვარებს. ან პრობლემები კიდს ექნება. და ლებრონი დააკვირდება დუაიტ ჰოვარდის ახალ გუნდსაც, სადაც ჯეიმს ჰარდენი პირველი გაროტაა და მერე მოდის ჰოვარდი. ლებრონი კიდევ ერთ გუნდს დააკვირდება. არა «ლეიკერსს». იქ ყველაფერი ისეა, როგორც კობის უნდა. ლებრონი სხვა, უინტერესო და საინტერესო გუნდს დააკვირდება. ის გუნდი შარშან ფინალში იყო. ლებრონს ეს ახსოვს. ლებრონი იმ გუნდს დიდ პატივს სცემს და ლებრონმა იცის, რომ ის გუნდი ყოველთვის ბრუნდება. ერთი და იგივე მისიით. ის გუნდი უნდა გავიდეს სუპერფინალში და იქ გამოცდილებით, მოწინებით და კლასით გააკეთოს საქმე. ლებრონი იმ გუნდს დიდ პატივს სცემს. ისევე როგორც კალათბურთის ყველა გულშემტკივარი. ის გუნდი გრეგ პოპოვიჩისა და ტიმ დანკანის «სან ანტონიო სპერსია». ახალი, ძველი «სან ანტონიო» ახალი, ძველი დანკანით.

მანუჩარ მარკოიშვილი ტრავმის გამო სამი თვით ჩამოშორდა მოედანს

საქართველოს ნაკრებისა და თურქული „გალათასარაის“ უკანახაზელი, მანუჩარ მარკოიშვილი დაშავდა, რის გამოც, სავარაუდოდ, სამ თვეს ვერ ითამაშებს. ეს ინფორმაცია თურქულ პრესაში გავრცელდა.

მარკოიშვილს ვარჯიშზე ფეხის მყესი დაუზიანდა. წინასწარი ვარაუდით, რეაბილიტაციას სამი თვე დასჭირდება. სტამბოლური კლუბისთვის ეს მეორე სერიოზული დანაკლისია. ერთი კვირის წინ „გალათასარაის“ ნეით ჯავაი გამოაკლდა და მისი შემცვლელი თურქულმა გრანდმა უკვე იპოვა - პოპს მენსა ბონსუ. მიიყვანენ თუ არა გუნდში მარკოიშვილის შემცვლელს, ეს მალე გამოჩნდება.

ბლატერმა კრიშტიანუ რონალდუს უკბინა

ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა „ოქროს ბურთის“ პრეტენდენტთა მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელის კრიშტიანუ რონალდუსა და „ბარსელონას“ თავდამსხმელის ლიონელ მესის ერთმანეთთან შედარებისას თქვა, მათ შორის არგენტინელს ავირჩევდიო: „ლეო კარგი ბიჭია. ნებისმიერ მშობელს სურს ასეთი შვილის ყოლა. ის ძალიან სწრაფია, კარგად თამაშობს, თითქოს ცეკვავს.

რაც შეეხება კრიშტიანუ რონალდუს, ის მოედანზე კაპიტანია.

ერთ-ერთი მათგანი დალაქთან უფრო მეტ დროს ხარჯავს, ვიდრე სხვა ნებისმიერი. ვერ ვიტყვი, ვინ არის უკეთესი, მაგრამ ამ ორს შორის მესის ვირჩევ“.

ის იყო, ეს თქვა ბლატერმა, რომ „სამეფო კლუბის“ იტალიელმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ფიფას ხელმძღვანელისგან რონალდუსთან დაკავშირებით განმარტება მოითხოვა: „ჩვენმა პრეზიდენტმა ფიფას მისწერა, რომ ამგვარი გამონათქვამებისთვის, რომელსაც უპატივცემულობად ვთვლი ისეთი პროფესიონალისადმი, როგორიც კრიშტიანუ რონალდუა, მივიღოთ განმარტებები.

სრულიად ვეთანხმები ჩვენს პრეზიდენტს. კრიშტიანუსთან ეს საკითხი უკვე განვიხილე. ის ყოველდღიურად ამტკიცებს, რომ ნამდვილი პროფესიონალია, სერიოზულად და უდიდესი პატივისცემით ეკიდება თავის საქმეს“.

ანჩელოტი გარეთ ბეილის იცავს

მადრიდის „რეალში“ რეკორდულ თანხად გადასულ უელსელ გარეთ ბეილის მიმართ უკმაყოფილება იზრდება - 100 მილიონ ევროდ შეძენილ ბეილის ჯერ ისეთი არაფერი გაუკეთებია, რაც მის ტრანსფერს გაამართლებდაო.

მადრიდის «რეალის» თავკაცმა კარლო ანჩელოტიმ კი გულშემატკივრებს მოთმინებისკენ მოუწოდა - ბეილის დრო სჭირდება გარემოსთან შესაგუებლადო.

«ესპანეთში, ინგლისისგან განსხვავებით, სრულიად განსხვავებული საფეხბურთო გარემოა. თან, ეს ქვეყნები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ფეხბურთელს კი გარემოსთან შეგუებისთვის დრო სჭირდება.

მართალია, ბეილის ბოლო მატჩებში საოცარი თამაში არ უჩვენებია, მაგრამ ეს ლოგიკურია. როცა გადადიხარ სხვა კლუბში, ურთიერთობა გიწევს სხვა კულტურულ სივრცეში, ამ დროს ჩნდება პრობლემები, მათ გადასაჭრელად კი დროა საჭირო», - განმარტავს კარლო ანჩელოტი.

ბეილის ანგარიში 6 მატჩში ერთ გოლსა და ამდენივე საგოლე გადაცემას ითვლის.

ვიქტორ ვალდესს მარკ-ანდრე ტერ შტეგენის სახით შემცვლელი გამოუჩნდა

გერმანული Bild-ის ცნობით, კატალონიურ „ბარსელონაში“ ვიქტორ ვალდესს შემცვლელი მოუძებნეს - მიონხენგლადბახის „ბორუსიასა“ და გერმანიის ნაკრების მეკარე მარკ-ანდრე ტერ შტეგენი.

წლეულს, თებერვალში, რამდენიმე ესპანური გამოცემა იტყობინებოდა, რომ 21 წლის მეკარემ კატალონიელებთან წინასწარ შეთანხმება გააფორმა, რომლის მიხედვით, გერმანელი „ბარსას“ ზაფხულში მიაშურებსო. თუმცა, მოგვიანებით ეს ინფორმაცია არ დადასტურდა.

დღეს კი, თუ Bild-ს დავუჯერებთ, მარკ-ანდრე ტერ შტეგენი, რომელიც გასულ სეზონში ბუნდესლიგის საუკეთესო მეკარედ დასახელდა, ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში აუცილებლად ჩაირიცხება კატალონიურ კლუბში. როგორც ამბობენ, გარიგების თანხა 10 მილიონ ევროს შეადგენს.

„გერმანელი მეკარე „კამპ ნოუზე“ მომავალ ზაფხულს წარდგება და ვიქტორ ვალდესს შეცვლის. მასთან გაფორმდება ოთხწლიანი ხელშეკრულება, რომლის ღირებულება 10 მილიონი ევრო იქნება“, - ირწმუნება გერმანული გამოცემა.

ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ მეკარემ, ვიქტორ ვალდესმა, არაერთხელ განაცხადა, რომ კატალონიურ კლუბთან აღარ გააგრძელებს ხელშეკრულებას, რომელიც ზაფხულში იწურება.

ხელბურთელები მსოფლიო საკვალიფიკაციო ტურნირს ლიტვით იწყებენ

პირველი გვერდიდან

შესარჩევი ჯგუფის (საქართველო, ლიტვა, ფინეთი, თურქეთი) გამარჯებული ფლეი ოფში გავა და 2014 წლის ივნისში მსოფლიო ჩემპიონატის საგზურისთვის ითამაშებს. მეტოქე ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გაირკვევა (2014 წლის იანვარი, დანია).

მსოფლიოს ჩემპიონატი 2015 წლის იანვარში, 24 გუნდის მონაწილეობით, ყატარში ჩატარდება. მასპინძელი ყატარი და მსოფლიო ჩემპიონი ესპანეთი ტურნირში შერჩევის გარეშე იასპარეზებენ. ევროპას, ესპანეთის გარდა, 12 ადგილი აქვს გამოყოფილი.

სამ საგზურს მიიღებს ევროპის 2014 წლის ჩემპიონატის სამი საუკეთესო გუნდი (მონაწილეობენ - ესპანეთი, დანია, ჩეხეთი, მაკედონია, ავსტრია, ისლანდია, უნგრეთი, ნორვეგია, სერბეთი, საფრანგეთი, პოლონეთი, რუსეთი, ხორვატია, შვედეთი, ბელარუსი, მონტენეგრო). დანარჩენი 12 მონაწილე ქვეყანა გადავა მსოფლიო ჩემპიონატის ფლეი ოფში. მათ დაემატება გერმანია და პირველი ეტაპის 5 გამარჯვებული.

მსოფლიო ჩემპიონატის კვალიფიკაცია. ევროპის პირველი ეტაპი

პირველი ჯგუფი: ლიტვა, თურქეთი, საქართველო, ფინეთი

30 ოქტომბერი: ლიტვა - საქართველო, ფინეთი - თურქეთი

3 ნოემბერი: თურქეთი - ლიტვა, საქართველო - ფინეთი

2 იანვარი: ფინეთი - ლიტვა, თურქეთი - საქართველო

4-5 იანვარი: ლიტვა - ფინეთი, საქართველო - თურქეთი

8-9 იანვარი: საქართველო - ლიტვა, თურქეთი - ფინეთი

11-12 იანვარი: ლიტვა - თურქეთი, ფინეთი - საქართველო

მეორე ჯგუფი: სლოვაკეთი, რუმინეთი, კვიპროსი, იტალია

მესამე ჯგუფი: სლოვენია, უკრაინა, შვეიცარია, ლუქსემბურგი

მეოთხე ჯგუფი: ჰოლანდია, ისრაელი, საბერძნეთი, ბელგია

მეხუთე ჯგუფი: პორტუგალია, ბოსნია, ლატვია, ესტონეთი

ფიფამ „ოქროს ბურთის“ პრეტენდენტები დაასახელა

გიგა გურასაშვილი

ფიფამ 2013 წლის „ოქროს ბურთის“ პრეტენდენტთა სია გამოაქვეყნა. როგორც მოსალოდნელი იყო, ექსპერტებისა და გამოცემა France Football-ის მიერ შედგენილ ჩამონათვალში გამორჩეული ადგილი უკავია ჩემპიონთა ლიგის 2012/13 წლების სეზონის გამარჯვებულს, ბუნდესლიგისა და გერმანიის თასის მფლობელ „ბაიერნს“ - სიაში ერთბაშად ექვსი მიუნხენელია (ნოიერი, ლამი, მიულერი, შვაინშტაიგერი, რობენი და რიბერი!). ოთხი წარმომადგენელი ჰყავს «ბარსელონას». რა თქმა უნდა, მათ შორისაა ლიონელ მესი. ზოგადად კი «ოქროს ბურთის» პრეტენდენტთა ნუსხა 23 ფეხბურთელს ითვლის. მათ შორის საუკეთესო კი ეროვნული ნაკრების კაპიტნებისა და მწვრთნელების, ასევე ფიფას მიერ აღიარებული ევროპული სპორტული გამოცემების გამოკითხვის შედეგად დასახელდება. თავდაპირველად, დეკემბერში, გამოცხადდება ის სამი ნომინანტი, რომელიც გამოკითხვაში ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს, რჩეული სამეულიდან საუკეთესო კი 2014 წლის 13 იანვარს, ციურიხში, გალა წარმოდგენაზე გახდება ცნობილი.

კანდიდატები: გარეთ ბეილი (უელსი), ლუის სუარესი, ედინსონ კავანი (ორივე - ურუგვაი), რადამელ ფალკაო (კოლუმბია), ედენ აზარი (ბელგია), ზლატან იბრაჰიმოვიჩი (შვედეთი), ანდრეს ინიესტა, ჩავი (ორივე - ესპანეთი), ფილიპ ლამი, ბასტიან შვაინშტაიგერი, მესუთ იოზილი, ტომას მიულერი, მანუელ ნოიერი, (ყველა - გერმანია), რობერტ ლევანდოვსკი (პოლონეთი), ლიონელ მესი (არგენტინა), ტიაგო სილვა, ნეიმარი (ორივე - ბრაზილია), ანდრეა პირლო (იტალია), ფრანკ რიბერი (საფრანგეთი), რობინ ვან პერსი, არიენ რობენი (ორივე - ნიდერლანდები), კრიშტიანო რონალდო (პორტუგალია), იაია ტურე (კოტ დ'ივუარი).

მოსალოდნელია, რომ პრესტიჟული ჯილდოსთვის ბრძოლა წარმართება მადრიდის «რეალის» ლიდერ კრიშტიანუ რონალდუს, კატალონიური «ბარსელონას» ლიონელ მესისა და მიუნხენის «ბაიერნის» ნახევარმცველ ფრანკ რიბერის შორის, რომელიც, სხვათა შორის, 2012/2013 წლების სეზონში უეფას ვერსიით ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. მაშინ საუკეთესოს წოდებაში სწორედ რონალდუ და მესი ეცილებოდნენ. ისე, თუ რიბერის ვკითხავთ, «ოქროს ბურთს» სწორედ ის იმსახურებს.

«მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელობისთვის ყველაფერი გავაკეთე, - L'Equipe-თან ამბობს 30 წლის რიბერი. - ძალიან კარგი სეზონი ჩავატარე და ვიმსახურებ «ოქროს ბურთს». ამაზე უკეთ ვერ ვითამაშებ».

ფრანგი ნახევარმცველის კანდიდატურას ფეხბურთის სპეციალისტები და მწვრთნელები უჭერენ მხარს.

«ოქროს ბურთის» ორგზის მფლობელის, ფრანც ბეკენბაუერის განცხადებით, ჯილდოს გადაცემის ფავორიტად ფრანკ რიბერი ითვლება. ამბობს, ჩემი სიმპათია ზლატან იბრაჰიმოვიჩის მხარესაა.

2011/2012 წლების სეზონის „ოქროს ბურთის“ მფლობელია არგენტინელი ლიონელ მესი, რომელიც ზედიზედ ოთხჯერ დასახელდა საუკეთესოდ.

„გუნდში ისე იგრძნობოდა ქართული სულისკვეთება, რომ ჩვენი გამჩერებელი არავინ იყო“

სლოვენიიდან დაბრუნებულ საქართველოს ძიუდოისტთა ახალგაზრდული ნაკრების წევრებს სპორტის მინისტრმა ლევან ყიფიანმა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში უმასპინძლა და პირადად მიულოცა მსოფლიოს ჩემპიონობა. ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გია გუგავამ და ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა დავით ქევხიშვილმა განვლილი ჩემპიონატი შეაჯამეს.

ლევან ყიფიანმა ძიუდოს ფედერაციისა და საქართველოს ნაკრების წარმომადგენლებს გაწეული სამუშაოსთვის მადლობა გადაუხადა და აქვე განაცხადა, რომ ძიუდო საქართველოში ყველაზე პერსპექტიული სპორტის სახეობაა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, ძიუდოს ფედერაციასთან ერთად, ახლო მომავალში სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებების ჩატარებას აპირებს. აქვე ის სავარჯიშო დარბაზების ინფრასტრუქტურასაც შეეხო და განაცხადა, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად სამუშაოები უკვე მიმდინარეობს.

შემდგომ სიტყვა ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტს, დავით ქევხიშვილს მიეცა:

«გახარებული ვარ ჩვენი ბიჭების ასეთი შედეგით. მადლობას ვუხდი მათ ამ თავდაუზოგავი შრომისთვის. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რასაც სამინისტრო ძიუდოს ფედერაციისთვის აკეთებს. დარწმუნებული ვარ, ეს ჩვენს შედეგებზე აისახება».

გია გუგავამ მადლობა გადაუხადა ლევან ყიფიანს და შემდეგ ასეთი კომენტარი გააკეთა:

«რა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონობას წინასწარ ვერ დაგეგმავ, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი ბიჭები ყველაფერს გააკეთებდნენ სასურველი შედეგის მისაღწევად. სლოვენიაში ფავორიტის სახელით ჩავედით, მაგრამ გახდე მსოფლიო ჩემპიონი, ეს ადვილი არ არის, მით უფრო, თუ ხვდები ისეთ ნაკრებებს, როგორიცაა რუსეთი, მონღოლეთი და საბერძნეთი. ინდივიდუალურ შეჯიბრებაშიც წარმატებულად გამოვედით, თუმცა, იყო რამდენიმე მომენტი, რაზეც გული დამწყდა, თუნდაც გიორგი ზაქარიაძის მიერ ბოლო 18 ნამში წაგებული შეხვედრა. მთლიანობაში კი, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. მიმაჩნია, რომ ამ თაობას შესწევს ძალა, მომავალში კიდევ ბევრი ტიტულისთვის იბრძოლოს».

პატარა კომენტარი მსოფლიოს ჩემპიონმა ბექა ღვინიაშვილმაც გააკეთა:

«წლევანდელი შედეგით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, რადგან მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატი მოვიგე. რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონატს, ბიჭები ისე ვიყავით დამუხტული, ისე იგრძნობოდა გუნდური და ქართული სულისკვეთება, რომ ჩვენი გამჩერებელი არავინ იყო».